Organization for Security and Co-operation in Europe

adelphi

სტრატეგიის დოკუმენტი

კლიმატის ცვლილებისა და უსაფრთხოების საკითხებზე ჩრდილოეთ სომხეთსა და სამხრეთ საქართველოს შორის ერთობლივი თანამშრომლობის სტრატეგია

სამხრეთ კავკასიაში კლიმატის მედეგობის გაძლიერება ხანძრის რისკის შემცირებით

ეს პუბლიკაცია მომზადებულია ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო) დამატებითი ბიუჯეტით დაფინანსებული პროექტის "კლიმატის ცვლილების უსაფრთხოების რისკებზე რეაგირების გაძლიერება სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში, აღმოსავლეთ ევროპაში, სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალური აზიაში", 1102151).

დაფინანსებულია: ანდორას, ავსტრიის, ჩეხეთის, ფინეთის, საფრანგეთის, გერმანიის, იტალიის, იაპონიის, ლიხტენშტეინის, ლუქსემბურგის, ნორვეგიის, პოლონეთის, სლოვენიის, შვედეთის, შვეიცარიის, გაერთიანებული სამეფოსა და შეერთებული შტატების მიერ.

შემოთავაზებული ციტატა

ეუთო და adelphi. უსაფრთხოების საკითხებზე ჩრდილოეთ სომხეთსა და სამხრეთ საქართველოს შორის ერთობლივი თანამშრომლობის სტრატეგია: სამხრეთ კავკასიაში კლიმატის მდგრადობის გაძლიერება ხანძრის რისკის შემცირების გზით ბერლინი: adelphi; ვენა: ეუთო, 2024.

სამართლებრივი შენიშვნა

გამომცემლები:	ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (ეუთო/OSCE) Wallnerstrasse 6 1010 ვენა, ავსტრია +43 1 514 360 pm@osce.org http://www.osce.org adelphi research gemeinnützige GmbH Alt-Moabit 91 10559 ბერლინი, გერმანია +49 (030) 8900068-0 office@adelphi.de www.adelphi.de
პროექტის მენეჯმენტი:	სილვი გოიეტი, პატრიცია ალბრეხტი, ელენ ბალცარ მოსოპი, კატერინა რობული (ეუთო)
ფასილიტატორები:	ბეატრიჩე მოზელო, რაკელ მუნაიერი, ალინა ვიჰოფი და ლუკას რუტინგერი (adelphi)
რეცენზენტი:	იოჰან გეორგ გოლდამერი (Global Fire Monitoring Center), ნინო მალაშხია (GEO Outlook LLC), ხათუნა გოგალაძე (GEO Outlook LLC)
ფოტოების ავტორები:	გარეკანის ფოტო: სონა პეტროსიანი / Unsplash
სტატუსი:	2024 წლის დეკემბერი

განცხადება

ამ პუბლიკაციის შინაარსი ასახავს ავტორებისა და რეცენზენტების მოსაზრებებს, მიგნებებს, ინტერპრეტაციებს და დასკვნებს და აუცილებლად არ ასახავს ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო) და მისი დონორების და/ან მისი მონაწილე სახელმწიფოების ოფიციალურ პოზიციას ან მოსაზრებებს. მიუხედავად იმისა, რომ პუბლიკაცია მომზადებულია განსაკუთრებული სიფრთხილით, ეუთო არ იღებს რაიმე სახის პასუხისმგებლობას პუბლიკაციაში წარმოდგენილი ინფორმაციის, ინსტრუქციისა თუ რჩევის სიზუსტესა და სისრულეზე ან ბეჭდურ შეცდომებზე.

ამ პუბლიკაციაში გამოყენებული სახელდებები და წარმოდგენილი მასალა არ შეადგენს ან არ გულისხმობს ეუთოს მხრიდან რაიმე აზრის გამოხატვას ნებისმიერი ქვეყნის, ტერიტორიის, ქალაქის ან ადგილის სამართლებრივი სტატუსის, ან მასში არსებული რომელიმე ორგანოს შესახებ, ან რომელიმე სასაზღვრო ზოლის და/ან საზღვრის დადგენის შესახებ. დაუშვებელია რაიმე პრეტენზია ეუთოს წინააღმდეგ ამ პუბლიკაციაში მოცემულ ინფორმაციაზე ან დასკვნებზე დაყრდნობით მიღებულ პოტენციურ შედეგებთან დაკავშირებით.

უსაფრთხოების საკითხებზე ჩრდილოეთ სომხეთსა და სამხრეთ საქართველოს შორის ერთობლივი თანამშრომლობის სტრატეგია

სამხრეთ კავკასიაში კლიმატის მდგრადობის გაძლიერება ხანძრის რისკის შემცირებით

ეუთო და adelphi

სარჩევი

მადლიერების ნიშნად **4**

1. შესავალი **5**

1.1 პროექტის წანამძღვრები 6

1.2 სტრატეგიის შემუშავება 6

1.3 სტრატეგიის ამოცანები და შინაარსი 7

2. თანამშრომლობის პრიორიტეტები **9**

2.1 ხანძრის სათემო მართვა და ერთობლივი სწავლება 9

2.2 ცნობიერების ამაღლება ხანძრის პრევენციის, მზადყოფნისა და რეაგირების მხარდასაჭერად 11

2.3 კოორდინაცია სამთავრობო დონეზე 13

3. დაინტერესებულ მხარეთა შორის თანამშრომლობის ფორმატების გაუმჯობესება **15**

4. განხორციელების გეგმა **17**

4.1 პროექტის კონცეფცია: „ხანძრის სათემო მართვა უსაფრთხო გარემოსთვის“ 18

4.2 პროექტის კონცეფცია: „საზღვრისპირა რაიონებში ხანძრის პრევენციისა და რეაგირების ინფრასტრუქტურის განვითარება“ 21

4.3 პროექტის კონცეფცია: „ხანძრის რისკების შესახებ ცნობიერების ამაღლება, პრევენციისა და რეაგირების შესაძლებლობების განვითარება“ 23

4.4 პროექტის კონცეფცია: „საგზაო რუკების შემუშავება ხანძრის მართვის საკითხებში მთავრობათაშორისი კოორდინაციისთვის“ 25

მადლიერების ნიშნად

გვსურს მადლობა გადავუხადოთ ყველა დაინტერესებულ მხარეს, ვინც მონაწილეობა მიიღო სამუშაო შეხვედრაში „კლიმატის ცვლილება და უსაფრთხოება ჩრდილოეთ სომხეთსა და სამხრეთ საქართველოში: ხანძრის რისკის შემცირების თანამშრომლობის სტრატეგიისა და განხორციელების გეგმის შემუშავება“ (2023 წლის 24-25 ოქტომბერი, თბილისი) და შემდგომ კონსულტაციებში სარჩაპეტში (სომხეთი) და ბოლნისში (საქართველო) 2024 წლის აპრილში მათი ღირებული წვლილისთვის, რომელიც ამ სტრატეგიულ დოკუმენტშია ასახული. განსაკუთრებული მადლობა გვინდა გადავუხადოთ ჰოვსეპ ალბერტ არშაკიანს, მარიამ ავაგიანს, ანუშ ბაღდასარიანს, რატი ბაკურაძეს, ბორის ბაროიანს, ნადია ბაროიანს, გიორგი ბერეჩიკიძეს, სერობ გაბრიელიანს, შალვა გათენდაშვილს, დავით ჰენრიკ გევორგიაშვილს, არტურ ღარაკეშვილს, პაპუნა კაპანაძეს, გიორგი ხაბეიშვილის, ჰაიარპი კირაკოსიანს, მარტუნ კირაკოსიანს, დავით კობახიძეს, გიზო კორტავას, ფელიქს კოსტანტიანს, ვაჟა კურტანიძეს, ბარბარე ლეთოდიანს, მერაბ მაჭავარიანს, მანუჩარ მარგიანს, ანჟელა მარტიროსიანს, მარინე ანაჟაკაში ოლქიშვილს, ტიგრან პეტროსიანს, ვანო ქოჩინიანს, ზურაბ რეხვიაშვილს, ალექსანდრე რუხაძეს, გარეგინ ვარდან საფარიანს, სტეპან ედვარდ სტეპანიანს და მარგო ზაზიანს და ბოლნისის ახალგაზრდული საბჭოსა და ბოლნისის ახალგაზრდული საბჭოსა და ბოლნისის მერის აპარატის წარმომადგენლებს სამუშაო შეხვედრისა და დამატებითი კონსულტაციების ორგანიზებაში მათი კოორდინაციის, ხელშეწყობის, ექსპერტული ჩართულობისა და მხარდაჭერისთვის.

ასევე გარდა ამისა, გვსურს მადლობა გადავუხადოთ სამველ აივაზიანს, კარლო ამირგულაშვილს, ნინო ბარქაიას და ნათია იორდანიშვილს პროექტის აქტივობების განმავლობაში მხარდაჭერისა და გამოცდილების და ექსპერტული ცოდნის გაზიარებისთვის. გარდა ამისა, მადლიერებას გამოვთქვამთ პროფესორი იოჰან გეორგ გოლდამერის, ხათუნა გოგალაძის, ნინო მალაშხიას, ნანუკა აღლემაშვილის, კახა არცივაძეს და ეკატერინე ჩხეტიას მიმართ საკონსულტაციო პროცესის განმავლობაში მათი ექსპერტული წვლილისა და მუდმივი მხარდაჭერისთვის.

1 შესავალი

ხანძარი დიდ საფრთხეს უქმნის სამხრეთ კავკასიის კულტურულ და ბუნებრივ ლანდშაფტებს, მათ შორის ჩრდილოეთ სომხეთსა და სამხრეთ საქართველოში, სადაც წარმოდგენილია ეკოლოგიურად და სოციოეკონომიკურად მნიშვნელოვანი ტყის და ალპური ეკოსისტემები. ისტორიულად ხანძრების უმეტესობა რეგიონში ადამიანის საქმიანობით არის გამოწვეული, განსაკუთრებით სასოფლო-სამეურნეო და პასტორალური მიწათსარგებლობის კონტექსტში. მსგავსი ვითარებაა დღესაც. თუმცა, ხანძრის სიხშირე, ინტენსივობა და სიმძიმე შეიძლება გაიზარდოს კლიმატის ცვლილებასთან ერთად, რადგან მატულობს ტემპერატურა, ნალექების დონე იცვლება და ხანძრის გაჩენის და გავრცელების ხელშემწყობი პირობები - სიცხე და გვალვა უფრო ხშირი და ინტენსიური ხდება.

უკონტროლო და არასასურველი ტყისა და ველის ხანძრები (შემდგომში ხანძრები) აჩენს ეკოლოგიურ, ეკონომიკურ, სოციალურ და ჯანმრთელობის რისკებს და შესაბამისად, საფრთხეს უქმნის ადამიანის უსაფრთხოებას. უფრო მეტიც, ხანძრის შემდგომი ზემოქმედება, როგორიცაა მეწყერი, ღვარცოფი და წყალდიდობა, შეიძლება დამატებით ტვირთად დააწვეს ადამიანებს და განსაკუთრებით მათ, ვისაც ისედაც შეზღუდული წვდომა აქვს რესურსებზე სქესის, ეთნიკური წარმომავლობის, სოციოეკონომიკური მდგომარეობის ან სხვა ფაქტორებიდან გამომდინარე. ამრიგად, ხანძარი უარყოფითად აისახება სოციოეკონომიკურ სტაბილურობასა და საარსებო წყაროს უსაფრთხოებაზე, რითაც შემდგომ ზეწოლას ახდენს საზოგადოებებზე. იმ შემთხვევაში, როდესაც უსაფრთხოების ეს გამოწვევები საერთოა რამდენიმე იურისდიქციისთვის საზღვრისპირა რეგიონებში, როგორიცაა ჩრდილოეთ სომხეთი და სამხრეთ საქართველო, გადაწყვეტები მოითხოვს ერთობლივი თანამშრომლობის ძალისხმევას.[1]

გაძლიერებული და მიზანმიმართული თანამშრომლობა ქვეყნებს შორის, განსაკუთრებით კი საზღვრისპირა რეგიონების მუნიციპალიტეტებში, უაღრესად მნიშვნელოვანია, რადგან იგი ხსენებული რისკების ჰოლისტიკურად და მდგრადად გადაწყვეტის შესაძლებლობებს იძლევა. ერთი მხრივ, ცვალებადი კლიმატის პირობებში თანამშრომლობის აქტივობები თემში საარსებო საშუალებების, უსაფრთხოებისა და მედეგობის გაუმჯობესებას ემსახურება. მეორე მხრივ, ისინი აძლიერებს ნდობას და კეთილმეზობლურ ურთიერთობებს რეგიონში.[2] სომხეთსა და საქართველოს შორის ხანძრის მართვისა და შესაძლებლობების გაძლიერების სფეროში თანამშრომლობის ხანგრძლივი ისტორია არსებობს, მათ შორის ეუთოს მხარდაჭერით და გლობალური ხანძრის მონიტორინგის ცენტრთან (GFMC) მჭიდრო პარტნიორობით განხორციელებული აქტივობები. წინამდებარე სტრატეგიის მიზანია ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის გასაძლიერებლად ტერიტორიებისა და კონკრეტული აქტივობების გამოვლენა, და კერძოდ, ბოლნისის (საქართველო) და სარჩაპეტის (სომხეთი) შერჩეულ საპილოტე მუნიციპალიტეტებს შორის ტყისა და ველის ხანძრებთან დაკავშირებული რისკების გადაწყვეტა.

თანამშრომლობის მიზანი - კლიმატთან დაკავშირებული უსაფრთხოების რისკების გადაწყვეტა



© adelphi

[1] დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. ლუკას რიუტინგერი, პია ვან აკერნი და ადრიან ფუნგი, რეგიონული კონსულტაცია სამხრეთ კავკასიისთვის - სომხეთი და საქართველო: თანამშრომლობის შესაძლებლობები კლიმატის ცვლილების უსაფრთხოებასთან დაკავშირებული შედეგების გადასაწყვეტად (ეუთო, 2021).

[2] დამატებითი ინფორმაციისთვის იხ: ბეატრიჩე მოზელო, ადრიან ფუნგი, ლუკას რუტინგერი და პია ვან აკერნი, თანამშრომლობა ჩრდილოეთ სომხეთსა და სამხრეთ საქართველოში: კლიმატთან დაკავშირებული უსაფრთხოების საერთო გამოწვევები და სტაბილურობის გაძლიერება სამხრეთ კავკასიაში ხანძრის რისკის შემცირების წინასწარი კვლევა. ეუთო, 2023).

1.1 პროექტის წანამძღვრები

დოკუმენტი წარმოადგენს ერთობლივი თანამშრომლობის სტრატეგიას ჩრდილოეთ სომხეთსა და სამხრეთ საქართველოში კლიმატთან დაკავშირებული უსაფრთხოების რისკების გადასაწყვეტად. ეს გახლავთ შედეგი დამატებითი ბიუჯეტით დაფინანსებული პროექტისა „სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში, აღმოსავლეთ ევროპაში, სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში კლიმატის ცვლილების უსაფრთხოების რისკებზე რეაგირების გაძლიერება“, რომელსაც ახორციელებს ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (ეუთო), ბერლინში დაფუძნებულ ანალიტიკურ ცენტრთან „adelphi“ პარტნიორობით.[3]

ეს პროექტი მიზნად ისახავს:

1. გააღრმავოს იმის გაგება, თუ რა გავლენას ახდენს კლიმატთან დაკავშირებული უსაფრთხოების რისკები სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაზე, სამხრეთ კავკასიაზე, ცენტრალურ აზიასა და აღმოსავლეთ ევროპაზე.
2. გაზარდოს თანამშრომლობა რეგიონულ დაინტერესებულ მხარეებს შორის კლიმატთან დაკავშირებული უსაფრთხოების რისკების გადასაწყვეტად.
3. გაუმჯობესოს ძირითად დაინტერესებულ მხარეთა ინფორმირებულობა და შესაძლებლობები კლიმატის ცვლილებისა და უსაფრთხოების შესახებ ინტეგრირებული მიდგომის დანერგვისთვის.

ბოლნისის მუნიციპალიტეტი (საქართველო) და სარჩაპეტის თემი (სომხეთი) წარმოადგენს სამხრეთ კავკასიაში პროექტის საქმიანობის სომხეთ-საქართველოს კომპონენტის ცენტრალურ ელემენტს.

1.2 სტრატეგიის შემუშავება

სტრატეგია წარმოადგენს თანამშრომლობის იდეებს ჩრდილოეთ სომხეთსა და სამხრეთ საქართველოში კლიმატთან დაკავშირებული უსაფრთხოების რისკების ერთობლივი გადაწყვეტისთვის. სტრატეგიის შემუშავებისთვის განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

1. სტრატეგია ძირითადად ეფუძნება სამუშაო შეხვედრას „კლიმატის ცვლილება და უსაფრთხოება ჩრდილოეთ სომხეთსა და სამხრეთ საქართველოში: ერთობლივი თანამშრომლობის სტრატეგიისა და *ხანძრის რისკის შემცირების* განხორციელების გეგმის შემუშავება“, რომელიც ორგანიზებულ იქნა ეუთოს მიერ adelphi-სა და გლობალური ხანძრის მონიტორინგის ცენტრთან (GFMC) პარტნიორობით 2023 წლის 24-25 ოქტომბერს თბილისში. სამუშაო შეხვედრას ესწრებოდნენ შესაბამისი სამინისტროებისა და მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები, ასევე ექსპერტები რეგიონიდან და საერთაშორისო პარტნიორები. მონაწილეებმა **გამოავლინეს თანამშრომლობის პრიორიტეტული თემები, შეიმუშავეს** რისკის შემცირების ერთობლივი ღონისძიებების **პროექტის კონცეფციები** სხვა ადგილობრივ, რეგიონულ და საერთაშორისო ინიციატივებთან სინერგიაში და **იმსჯელეს, თუ როგორ უნდა გაძლიერდეს თანამშრომლობა** მუნიციპალიტეტებს შორის.[4] სამუშაო შეხვედრის შედეგების განხილვის, დადასტურებისა და განვრცობის მიზნით, ეუთომ და adelphi-მ **მუნიციპალური კონსულტაციების** დამატებითი რაუნდი ჩაატარეს სარჩაპეტში, 2024 წლის 9 აპრილს და ბოლნისში, 2024 წლის 10 აპრილს. კონსულტაციებში მონაწილეობდნენ ეროვნული და ადგილობრივი დონის დაინტერესებული მხარეები, მათ შორის სატყეო და საგანგებო სამსახურები, ადგილობრივი სახანძრო-სამაშველო განყოფილებები, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები და ქალთა და ახალგაზრდულ საკითხებზე მომუშავე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები.
2. სამუშაო შეხვედრა და კონსულტაციები ეფუძნებოდა **წინასწარი კვლევის** *„თანამშრომლობა ჩრდილოეთ სომხეთსა და სამხრეთ საქართველოში: კლიმატთან დაკავშირებული უსაფრთხოების საერთო გამოწვევების გადაწყვეტა და მედეგობის გაძლიერება სამხრეთ კავკასიაში ხანძრის რისკის შემცირებით“* მიგნებებს რომელიც მეტწილად დაეყრდნო

[3] პროექტის შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის იხ.: https://www.osce.org/node/521965.

[4] შეკრებილი იდეებიდან შეირჩა ყველაზე პერსპექტიული იდეები, რომლებიც შემდეგ ჩამოყალიბდა შესაძლო საპილოტე პროექტის კონცეფციების სახით.

დაინტერესებულ მხარეთა წინა კონსულტაციებს, მათ შორის დისტანციურ შეხვედრებს, გამოკითხვებსა და ინტერვიუებს. სამუშაო შეხვედრისა და კონსულტაციების დროს მონაწილეებმა დაადასტურეს და განავრცეს კვლევით გამოვლენილი თანამშრომლობის სფეროები.

3. თავის მხრივ წინასწარი კვლევა ეფუძნებოდა 2021 წელს **დაინტერესებულ მხარეთა შორის ჩატარებულ კონსულტაციებს** და ეუთო-adelphi-ის ანგარიშს *"რეგიონული კონსულტაციები სამხრეთ კავკასიაში - სომხეთი და საქართველო: თანამშრომლობა კლიმატის ცვლილების უსაფრთხოებასთან დაკავშირებული შედეგების გადასაწყვეტად"*, რომლითაც ჩრდილოეთ სომხეთი და სამხრეთ საქართველო გამოვლინდა, როგორც თანამშრომლობის პრიორიტეტული წერტილები, რამდენიმე ტრანსსასაზღვრო მდინარის და ტყის ეკოსისტემების, ასევე მნიშვნელოვანი ტრანსსასაზღვრო ინფრასტრუქტურული ქსელების არსებობის გამო.

1.3 სტრატეგიის ამოცანები და შინაარსი

ერთობლივი თანამშრომლობის სტრატეგიის მთავარი მიზანია თანამშრომლობის გაძლიერება ბოლნისის (საქართველო) და სარჩაპეტის (სომხეთი) მუნიციპალიტეტებს შორის კლიმატთან დაკავშირებული უსაფრთხოების რისკების გადასაწყვეტად, რომლებიც უკავშირდება ტყისა და ველის ხანძრებს (იხ. ჩანართი ქვემოთ). სტრატეგია სამი ძირთადი ნაწილისგან შედგება:

პირველ რიგში, იგი ასახავს **თანამშრომლობის პრიორიტეტებს**:

- ხანძრის სათემო მართვა და ერთობლივი სწავლება;
- ხანძრის პრევენციის, მზადყოფნისა და რეაგირების მხარდასაჭერად ცნობიერების ამაღლება;
- კოორდინაცია სამთავრობო დონეზე.

მეორეს მხრივ, იგი წარმოადგენს **მუნიციპალიტეტებს შორის თანამშრომლობის გაძლიერების გზებს.**

მესამე, ის მოიცავს **განხორციელების გეგმას** ოთხი ერთობლივი პროექტის წინასწარი კონცეფციის სახით, რომელშიც ორივე მუნიციპალიტეტის დაინტერესებული მხარეები მონაწილეობენ. ზემოხსენებული შესაძლოა უფრო კონკრეტული ქმედებების შემუშავებისა და საპილოტე ღონისძიებების განხორციელების ამოსავალი წერტილი გახდეს.

აღსანიშნავია, რომ სტრატეგიის ფარგლებში წარმოდგენილი საპროექტო იდეები განიხილება, როგორც თანამშრომლობის გეგმა ე.ი. ისინი მიზნად ისახავს ორგანიზაციებისა და პარტნიორების ფართო სპექტრის მოწვევას მონაწილეობისა და მსჯელობისათვის მათ შორის ეუთოს ფარგლებს გარეთ. ეს მიდგომა ხაზს უსვამს ერთობლივი ძალისხმევის მნიშვნელობას და რესურსებისა და ექსპერტიზის თავმოყრას კომპლექსური გამოწვევების ეფექტური გადაწყვეტისთვის. ინკლუზიური და ადაპტირებადი ჩარჩოს ჩამოყალიბებით, ეს პროექტები ხელს უწყობს სხვა სუბიექტებს მონაწილეობა მიიღონ, წვლილი შეიტანონ და შესაძლოა წარმართონ ინიციატივები, რომლებიც შეესაბამება მათ მიზნებსა და შესაძლებლობებს. სტრატეგიის მიზანია სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის პასუხისმგებლობების გაზიარებისა და მათი ერთობლივი ძალისხმევით ზემოქმედების გაძლიერების ხელშეწყობა.

განმარტებები

GFMC-ის თანახმად განსაზღვრულია შემდეგი სამი ძირითადი ტერმინი:

ლანდშაფტის ხანძარი: ბუნებრივი და კულტურული ლანდშაფტების მცენარეული საფარის ხანძარი, მაგალითად, ბუნებრივი და დარგული ტყე, ორგანული რელიეფი (როგორიცაა ტორფები), ბუჩქნარი, ბალახი, საძოვრები, სასოფლო-სამეურნეო მიწები და ქალაქგარე ტერიტორიები, მიუხედავად აალების წყაროებისა, ზიანისა თუ სარგებლისა.

უკონტროლო ხანძარი: ნებისმიერი დაუგეგმავი ან უკონტროლო ხანძარი, რომელიც იწვის ბუნებრივ, კულტურულ, სამრეწველო და საცხოვრებელ ლანდშაფტებში, რომელიც, მიუხედავად აალების წყაროსა, შეიძლება მოითხოვდეს (i) ჩახშობის რეაგირებას, ან (ii) სხვა ქმედებას სააგენტოს პოლიტიკის შესაბამისად, მაგ., ცეცხლის თავისუფალი წვის შესაძლებლობას, რამდენადაც იგი აკმაყოფილებს მიწის მართვის მიზნებს.

(ამ სტრატეგიის დოკუმენტში „ტყისა და ველის ხანძარი“ გამოიყენება, როგორც უკონტროლო ხანძრების, ასევე ლანდშაფტის ხანძრების აღმნიშვნელი ტერმინი)

ხანძრის მართვა: ყოველგვარი საქმიანობა, რაც აუცილებელია ღირებული მცენარეული საფარის ხანძრისგან დასაცავად და ხანძრის მიწის მართვის მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად გამოყენებისთვის. ეს გულისხმობს ისეთი სტრატეგიული ფაქტორების ინტეგრაციას, როგორიცაა: ხანძრის რეჟიმების ცოდნა, ხანძრის სავარაუდო შედეგები, რისკის ქვეშ არსებული ღირებულებები, ტყის დაცვის საჭირო დონე, ხანძარსაწინააღმდეგო საქმიანობის ხარჯები და მრავალჯერადი გამოყენების გეგმით გაწერილი ხანძარსაწინააღმდეგო ტექნოლოგია, გადაწყვეტილების მიღება და ყოველდღიური საქმიანობა რესურსების მართვის დასახული მიზნების მისაღწევად.

2 თანამშრომლობის პრიორიტეტები

კონსულტაციების პროცესში, დაინტერესებულმა მხარეებმა, როგორც სომხეთიდან ასევე საქართველოდან ხანძრის მართვის შემდეგი გამოწვევები გამოავლინეს ქვეყნებში და ქვეყნებს შორის: ა) კარგად მომზადებული პერსონალის, ხანძარსაწინააღმდეგო აღჭურვილობის, წყლის წყაროების და შესაბამისი ინფრასტრუქტურის ნაკლებობა საზღვრისპირა რაიონების რთულ რელიეფსა და ხშირ მცენარეულობაში გავლისთვის; ბ) მოსახლეობაში ხანძრის რისკების შესახებ ცოდნისა და ცნობიერების დაბალი დონე და სწორი ქცევის ნაკლებობა, განსაკუთრებით ფერმერებს შორის მცდარი წარმოდგენა, რომ სასოფლო-სამეურნეო გადაწვა სასარგებლოა მოსავლის ზრდისა და მავნებლების კონტროლისთვის; და გ) ეროვნულ დონეზე შეზღუდული სისტემატური თანამშრომლობა ორ ქვეყანას შორის პროტოკოლების ნაკლებობის, ენობრივი ბარიერების, მუნიციპალურ დონეზე ტრანსსასაზღვრო კომუნიკაციის მექანიზმების არარსებობის და საზღვრის კვეთის გართულებული პროცედურების გამო.[5] განსაზღვრული გამოწვევების საფუძველზე, დაინტერესებულმა მხარეებმა გამოავლინეს პრიორიტეტული სფეროები, სადაც ბოლნისის (საქართველო) და სარჩაპეტის (სომხეთი) მუნიციპალიტეტებს შორის გაუმჯობესებული თანამშრომლობა ხელს შეუწყობს კლიმატთან დაკავშირებული უსაფრთხოების, განსაკუთრებით კი ხანძრის მართვასთან დაკავშირებული რისკების გადაწყვეტას.

2.1 ხანძრის სათემო მართვა და ერთობლივი სწავლება

არსებობს რიგი გამოწვევები ხანძრის მართვასა და სწავლებასთან დაკავშირებით, როგორც მუნიციპალიტეტებში, ასევე საერთო საზღვრის მიმდებარედ. ორივე მუნიციპალიტეტი მსგავსი პრობლემების წინაშე დგას ხანძრის პრევენციისა და მათზე რეაგირების კუთხით. ეს მოიცავს არასათანადოდ ჩამოყალიბებულ გეგმებსა და პროცედურებს, ასევე მუნიციპალური ხელისუფლების მაღალის ხარისხის დამოკიდებულებას ცენტრალურ ხელისუფლებაზე. გარდა ამისა, არ არსებობს ან არასათანადოდ ჩამოყალიბებულია პრევენციის, მზადყოფნისა და რეაგირებისთვის საჭირო ინფორმაცია, მონაცემები და ანალიზი, როგორიცაა ხანძარსაწინააღმდეგო კერების ლანდშაფტისა და მცენარეული საფარის რუკა. სასოფლო-სამეურნეო მიწებსა და ტყის ტერიტორიებს შორის და მათზე ხანძარსაწინააღმდეგო და დამცავი დერეფნების არარსებობა (ვიწრო და ფართო „წვის შემაფერხებლები“, საიდანაც მოშორებულია ადვილად აალებადი მცენარეულობა ხანძრის ინტენსივობისა და გავრცელების შესამცირებლად და ხანძრის ჩაქრობის გასაადვილებლად) ხელს უწყობს ხანძრის სწრაფ გავრცელებას. ჰიდრანტებითა და ტუმბოებით აღჭურვილ წყლის წყაროებზე შეზღუდული წვდომა, ასევე სასაზღვრო ზონაში საგზაო ინფრასტრუქტურის და მობილური ქსელის დაფარვის გაუმართაობა ან ცუდი მდგომარეობა აფერხებს ხანძარსაწინააღმდეგო ძალისხმევას. გამოწვევებს ართულებს სათანადოდ მომზადებული პერსონალის, მოხალისეთა სისტემების, ფინანსური რესურსებისა და ტექნიკური ხანძარსაწინააღმდეგო აღჭურვილობის ნაკლებობა.

ამ გამოწვევების ერთობლივი გადაწყვეტის თანამშრომლობის შესაძლებლობები მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- მუნიციპალურ დონეზე პრევენციისა და მზადყოფნის გაძლიერება კატასტროფის რისკების შესამცირებლად, მაგალითად:
    - ცხელი წერტილებისა და რისკის რუკების[6] შემუშავება, გადაუდებელი დახმარების სამსახურების არსებული შესაძლებლობების გაძლიერება, ადრეული

[5] მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ ეუთო-adelphi-ის 2023 წინასწარი კვლევა „თანამშრომლობა ჩრდილოეთ სომხეთსა და სამხრეთ საქართველოში: კლიმატთან დაკავშირებული უსაფრთხოების საერთო გამოწვევების გადაჭრა და სამხრეთ კავკასიაში მედეგობის გაძლიერება ხანძრის რისკის შემცირებით“, რომელიც ხელმისაწვდომია აქ: https://www.osce.org/files/f/documents/3/0/547820.pdf.

[6] მაგალითად, კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელმა (CENN) 2011 წელს MATRA პროექტის ფარგლებში ჩაატარა კვლევა ტყისა და ველის ხანძრის საფრთხის GIS მოდელირება საქართველოში, „ხანძრების სივრცით და დროით კანონზომიერებათა უკეთ გასაგებად და რისკის ზონების დასადგენად სტრატეგიული სახანძრო თავდაცვის დაგეგმვისთვის“. ხანძრის ცხელი წერტილებისა და რისკების მომავალში შექმნილი რუკები შეიძლება დაეყრდნოს არსებულ მონაცემებს, რომელთა განახლება და სომხეთზე გაფართოება არსებითად შესაძლებელია. არსებული მონაცემების გამოყენება ამცირებს დროისა და ფინანსური რესურსების საჭიროებას და ამასთან, უზრუნველყოფს ასეთი შეფასებების აპრობირებულ მეთოდოლოგიას. მეტი ინფორმაციისთვის, იხ: ირვინ ტ. ფელიციანო სანტიაგო და ნინო ხელაძე, “ GIS ველურ ბუნებაში ხანძრის საფრთხის მოდელირება საქართველოში ” (CENN, 2011).

გაფრთხილების საერთო სისტემების[7] და ადგილობრივი და ტრანსსასაზღვრო საბჭოების შექმნა მზადყოფნის ერთობლივი გეგმების შესამუშავებლად. ორივე ქვეყნის ცენტრალურ ხელისუფლებას შეუძლიათ მხარი დაუჭირონ გეოგრაფიულ-საინფორმაციო სისტემის (GIS) მონაცემებისა და ექსპერტული ინფორმაციის მიწოდებით და მთავრობათაშორისი თანამშრომლობის გააქტიურებით;

- ხანძრების ერთობლივი შეფასება საზღვრისპირა რეგიონებში ხანძრის მართვისა და რეაგირების შესაძლებლობების შესწავლისა და მომავალი საგანგებო სიტუაციებისთვის პროცესების გასაუმჯობესებლად, ტყის ეროვნული აღრიცხვის მონაცემებზე დაყრდნობით ადგილობრივ დონეზე მონაცემთა ნაკლოვანებების აღმოფხვრა;
- ხანძრის პრევენციის ბუნებრივი გადაწყვეტების შესწავლა და გაფართოება, როგორიცაა ხანძრის ეკოლოგიურად სუფთა და უსაფრთხო გამოყენება, კონტროლირებადი ძოვება და მცენარეული საფარის მიზანმიმართული დამუშავება გადაწვის სანაცვლოდ (მაგ., ორგანული ნივთიერებების ან ნახშირის გამოყენება ნიადაგის გასაუმჯობესებლად ან განახლებადი ენერგიის წყაროდ), მუნიციპალურ, სასოფლო-სამეურნეო და სატყეო სექტორის დაინტერესებულ მხარეებთან ერთად ხანძარსაწინააღმდეგო და დამცავი დერეფნების ერთობლივად შექმნის და ამავდროულად, სხვადასხვა მხარეთა დაკავშირებული წუხილისა და პრობლემების გაგება და მათი გადაწყვეტის გზების შესწავლა;
- საზღვრისპირა მოსახლეობაში მესაზღვრეებთან მუშაობა ხანძრის პრევენციის, მზადყოფნისა და რეაგირების ყველა ასპექტზე, მათსა და გადაუდებელი დახმარების სამსახურებს შორის საერთო სამართლებრივი და ლოგისტიკური პროცესების გაცნობის მიზნით;
- სახანძრო საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების შტაბის შექმნა, ინფორმაციის ცენტრალიზებულად თავმოყრისა და რეაგირების ორგანიზებისთვის. საქართველოში ეს ეროვნულ დონეზე განხორციელდა და მათი გამოცდილება შეიძლება გამოყენებულ იქნეს საზღვრისპირა რეგიონებში ხანძრის შემთხვევაში ერთობლივი შტაბის შექმნისთვის;

- მუნიციპალურ დონეზე რეაგირების გაძლიერება ევაკუაციის გეგმების მომზადებით, რეაგირების კომიტეტის შექმნით ადგილობრივ და ეროვნულ დონეზე სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთათვის მკაფიოდ გაწერილი როლებითა და პასუხისმგებლობებით, როგორიცაა საგანგებო სამსახურები, სატყეო და ჯანდაცვის უწყებები და საზღვრის დაცვა. ევაკუაციის დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მოსახლეობის ყველაზე დაუცველ ჯგუფებს, როგორიცაა მოხუცები და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები;
- ხანძრის მართვასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის ხარისხისა და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება, მათ შორის:
  - სასაზღვრო რაიონებში რთული რელიეფის და ხშირი მცენარეული საფარის მქონე სახანძრო კერებთან მისასვლელად საჭირო გზებისა და ბილიკების მშენებლობა, მოვლა და გაწმენდა.
  - საზღვრის გასწვრივ წყლის რესურსების განვითარება და გაფართოება, როგორიცაა წყალსაცავები და რეზერვუარები, რომლებიც ხელმისაწვდომია ვერტმფრენით, და, სადაც ეს შესაძლებელია, ჰიდრანტები და მაღალი სიმძლავრის ტუმბოები;
- ხანძარსაწინააღმდეგო აღჭურვილობის განახლებასა ან შეძენაში ინვესტირება. სავარაუდოდ თითოეულ ქვეყანაში გამოყენებული ხელსაწყოები და ტექნიკა განსხვავდება, ამიტომ მუნიციპალიტეტებს შეუძლიათ გამოცდილების და კარგი პრაქტიკის გაზიარება აღჭურვილობის[8] განახლებისა და მიწოდების შესახებ, განსაკუთრებით ხანძრის მართვის სფეროში თანამშრომლობის გათვალისწინებით;

[7] მთავრობებს შეუძლიათ შეაფასონ, თუ რამდენად შესაძლებელია ისეთი ინიციატივების, როგორიცაა მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციისა (WMO) და გაეროს კატასტროფების რისკის შემცირების ოფისის (UNDRR) „ადრეული გაფრთხილება ყველასთვის“ ინიციატივის გამოყენება ხანძრის ადრეული გაფრთხილების სფეროში რეგიონული თანამშრომლობის გასაძლიერებლად. გაიგეთ მეტი, თუ ამჟამად როგორ ერთვებიან სამხრეთ კავკასიის ქვეყნები ინიციატივაში: https://community.wmo.int/en/news/south-caucasus-and-kazakhstan-unite-safer-tomorrow-advancing-regional-early-warning-systems.

[8] მაგალითად, შესაძლებელია ბოლნისში მოქმედ სამთო-მოპოვებით კომპანიასთან RMG თანამშრომლობა, რომელიც ფლობს ხანძრის ჩაქრობისთვის საჭირო მძიმე ტექნიკას (მაგ. სატვირთო მანქანები). მეტი ინფორმაციისთვის იხ.: https://richmetalsgroup.com/en/

- ადამიანური რესურსების გაძლიერება დამატებითი მეხანძრეების დაქირავებით, მომზადებითა და აღჭურვით და მოხალისეების სისტემების გაძლიერებითა და გაფართოებით (იხ. აგრეთვე 2.2) პასუხისმგებელი და კომპეტენტური ადგილობრივი ხელისუფლების ხელმძღვანელობით;
- კამპანია ადგილობრივ მოსახლეობას შორის ხანძრის რისკების შესახებ, აგრეთვე ხანძრის პრევენციისა და მართვის ღონისძიებები, რომლებშიც მათ შეუძლიათ მონაწილეობა (იხ. აგრეთვე 2.2);
- ხანძრის მართვის სასწავლო ღონისძიებებისა და შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა მუნიციპალიტეტებს შორის; ისეთი სინერგიების გამოვლენა, როგორიცაა გლობალური ხანძრის მონიტორინგის ცენტრის (GFMC)[9] რეგიონული ჩართულობა, მათ შორის:
    - ხანძრის პრევენციის, მზადყოფნისა და რეაგირების მიზნით რეგულარული ერთობლივი სასწავლო ღონისძიებების ჩატარება, რეაგირების პროტოკოლების და აღჭურვილობის მართვის და რეგიონული ლანდშაფტის დარუკების სავარჯიშოები ორივე მხარის პერსონალის მიერ ერთმანეთის საქმიანობის გაცნობისა და ერთობლივი კოორდინაციის პროცესების შემუშავების მიზნით;
    - ერთობლივი სასწავლო ვიზიტების ორგანიზება ორივე მუნიციპალიტეტში და ტრანსსასაზღვრო ხანძრის მართვის გამოცდილების მქონე მესამე ქვეყნებში;
    - ერთობლივი სწავლებები ხანძრის პრევენციაში, მზადყოფნასა და რეაგირებაში ჩართული დაინტერესებული მხარეების ფართო სპექტრის მონაწილეობით, მათ შორის დაცულ ტერიტორიების, სატყეო, სამაშველო პერსონალი და მოხალისე სახანძრო ბრიგადები;
    - არსებული ინიციატივების გამოყენება, როგორიცაა PPRDEAST3-ის ფარგლებში ჩატარებული რეგიონული სახანძრო წვრთნები[10] – თუმცა ასევე კატასტროფაზე რეაგირების უფრო ფართო კონტექსტში, მაგ. ჰუმანიტარული დახმარებისა და კატასტროფებისთვის მზადყოფნის უწყებათაშორისი სიმულაციური სავარჯიშო და ერთობლივი მიწისძვრის წვრთნები — ხანძრის პრევენციის, მზადყოფნისა და რეაგირების საკითხებში თანამშრომლობის გაძლიერების მიზნით.

განხორციელების გეგმაში წარმოდგენილია შესაბამისი პროექტის კონცეფციები „სათემო ხანძრის მართვა უსაფრთხო გარემოსთვის“ და „ხანძარსაწინააღმდეგო და რეაგირების ინფრასტრუქტურის განვითარება საზღვრისპირა რაიონებში“. (იხ. ქვეპუნქტები 4.1 და 4.2).

2.2 ცნობიერების ამაღლება ხანძრის პრევენციის, მზადყოფნისა და რეაგირების მხარდასაჭერად

როგორც ეს დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციებით დადასტურდა, სამხრეთ კავკასიაში ტყის ხანძრების უმეტესობა გამოწვეულია ადამიანის ქმედებებით ან დაუდევრობით. ამის მიზეზი ხშირად მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფისა და ტურისტების შეზღუდული ცოდნა და ინფორმაციის ნაკლებობაა ხანძრის რისკებისა და საშიშროების, პრევენციული ღონისძიებებისა და ხანძრის შემთხვევაში სწორი ქცევის შესახებ. აალებადი ნარჩენების დატოვების ან კოცონის დანთების საშიშროების გარდა, ფერმერებს შორის არსებობს მცდარი წარმოდგენა, რომ სასოფლო-სამეურნეო ნარჩენების გადაწვა სასარგებლოა

[9] GFMC 2004 წლიდან ხელს უწყობს ტყისა და ველის ხანძრების მართვის შესაძლებლობების განვითარებას სამხრეთ კავკასიაში რეგიონული ხანძრის მონიტორინგის ცენტრის (RFMC) და რეგიონული ტყისა და ველის ხანძარსაწინააღმდეგო ქსელის შექმნით სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპასა და სამხრეთ კავკასიაში. მეტი ინფორმაციისთვის იხ.: https://gfmc.online/globalnetworks/seeurope/SEEurope_1.html

[10] ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროგრამა „აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში ბუნებრივი და ტექნოგენური კატასტროფების პრევენცია, მზადყოფნა და რეაგირება - ფაზა 3 (PPRD East 3)“ ამოქმედდა 2020 წლის 1 ოქტომბერს. ინიციატივა დაიწყო 2010 წელს სომხეთში, აზერბაიჯანში, საქართველოში, მოლდოვასა და უკრაინაში კატასტროფების რისკის შემცირებისა და კრიზისების მართვის შესაძლებლობების გაძლიერების და ევროკავშირის სამოქალაქო დაცვის მექანიზმთან რეგიონული თანამშრომლობის ხელშეწყობის მიზნით. მეტი ინფორმაციისთვის იხ.: https://www.pprdeast3.eu/

მოსავლის ზრდისა და მავნებლების კონტროლისთვის, რაც გავრცელებული პრაქტიკაა რეგიონში. შესაბამისად, ხანძრის მართვის შესახებ ადგილობრივი მოსახლეობისა და ტურისტების ცნობიერების ამაღლება ორივე მუნიციპალიტეტის პრიორიტეტია.

ამ გამოწვევების ერთობლივი გადაწყვეტის თანამშრომლობის შესაძლებლობები მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- ცნობიერების ამაღლების არსებულ ძალისხმევაზე[11] დაყრდნობით, ცოდნის გაზიარება და ცნობიერების ამაღლება ადგილობრივ მოსახლეობაში ხანძრებისა და იმ პრევენციული ღონისძიებების[12] შესახებ, რომელთა განხორციელებაც მათ შეუძლიათ, მათ შორის შემდეგი საშუალებებით:
    - მრავალენოვანი საინფორმაციო მასალების შექმნა, როგორიცაა ბუკლეტები, პლაკატები, აბრები და საინფორმაციო დაფები, და მათი გავრცელება ადგილობრივ თემებსა და ტურისტულ ადგილებში;
    - საგანმანათლებლო ღონისძიებების ჩატარება, როგორიცაა თამაშები ან სავარჯიშოები სკოლებში, ბიზნესის წარმომადგენლებთან, ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებში, ასევე ახალგაზრდულ ბანაკებში ორივე ქვეყნის მონაწილეობით;
    - სატელევიზიო და სოციალური მედიის კამპანიების ჩატარება, რომლებიც მიმართულია სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებზე, მაგ. ფერმერები, ადგილობრივი მოსახლეობა და ახალგაზრდები;
    - ახალგაზრდების ჩართვა საინფორმაციო კამპანიებში;
    - ფერმერების ინფორმირება გადაწვის ალტერნატიული სოფლის მეურნეობის ნარჩენების განკარგვის უფრო მდგრადი მეთოდების შესახებ. ნებისმიერი ალტერნატივა უნდა იყოს განხორციელებადი და, შესაბამისად, დამოკიდებულია ადგილობრივად ხელმისაწვდომ ვარიანტებზე. მიმღებლობის გაზრდის მიზნით, საუკეთესო გადაწყვეტა იქნება ფერმერებისთვის ხელშესახები თანმდევი სარგებელის მქონე მიდგომების შეთავაზება, როგორიცაა ნარჩენების ბიომასად გაყიდვის შესაძლებლობა ენერგიის ან პლასტმასის წარმოებისთვის, ან კომპოსტის წარმოება დეგრადირებული ნიადაგის აღდგენისთვის;
    - ხანძრის დაუდევრობით ან განზრახ გაჩენის არსებული რეგულაციებისა და აღსრულების მექანიზმების შესახებ ცნობიერების ამაღლება, როგორიცაა ჯარიმა და სამართლებრივი დევნა;
    - არსებული ადგილობრივი საინფორმაციო პლატფორმების[13] და კამპანიების[14] გამოყენება, სადაც შესაძლებელია დღის წესრიგში ხანძრის მართვის თემების შეტანა, კერძოდ სოფლის მეურნეობის გაფართოების ცენტრების ჩართვა[15];
- სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და კანონების აღსრულების გაუმჯობესება;
- ღონისძიებების ჩატარება ახალგაზრდების მოტივაციის ასამაღლებლად ჩაერთონ სახანძრო მონიტორინგში და მოხალისეთა სახანძრო ბრიგადებში, რესურსების დანაკლისის აღმოსაფხვრელად. ასეთი აქტივობები მოიცავს შემდეგს:

[11] მაგალითად, ეროვნული სატყეო სააგენტო (NFA) გეგმავს მსგავს საინფორმაციო კამპანიებს საქართველოში. სინერგიების შესაქმნელად დაგეგმილი კამპანიები უნდა შეესაბამებოდეს არსებულ საინფორმაციო აქტივობებს, მათ გზავნილებსა და მიდგომებს.

[12] ველური ბუნებისა და კულტურული ფასეულობების შენარჩუნების ფონდს (FPWC) შესაძლოა ჰქონდეს გაკვეთილები ამ კუთხით. FPWC 2020 წლიდან ახორციელებს ტყის ხანძრის პრევენციის, შესაძლებლობების გაძლიერებისა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კამპანიებსა და ღონისძიებებს კავკასიის ველური ბუნების თავშესაფრის დაცულ ტერიტორიაზე და მის გარშემო. მეტი ინფორმაციისთვის იხ.: https://fpwc.org/contents/newsPress/representatives-of-the-us-forest-service-visited-the-caucasus-wildlife-refuge

[13] საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში, მაგალითად, გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს ევალება ტყესთან დაკავშირებულ საკითხებზე ინფორმაციის გავრცელება, რაც მოიცავს ტყის ხანძრების შესახებ ცნობიერების ამაღლებას და ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების მნიშვნელობას. გარდა ამისა, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ატარებენ საინფორმაციო კამპანიას ბავშვებისთვის ხანძრის მართვის, პრევენციისა და მზადყოფნის შესახებ.

[14] მაგალითად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ორგანიზებულ ცნობიერების ამაღლების კამპანიას „ემეგობრე პოლიციას“ აქვს პოტენციალი ჩართოს და გაავრცელოს ცოდნა ხანძრის მართვასთან დაკავშირებულ თემებზე. დამატებითი ინფორმაციისთვის იხ: https://police.ge/en/shinagan-saqmeta-saministrom-qalaq-batumidan-sainformatsio-shemetsnebiti%C2%A0%C2%A0kampania-/15455.

[15] საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო დაქვემდებარებაშია რამდენიმე სასოფლო-სამეურნეო გაფართოების ცენტრი, რომელიც მიზნად ისახავს ადგილობრივი ფერმერების აღჭურვას აუცილებელი ცოდნითა და ინფორმაციით სასოფლო-სამეურნეო მიწების მდგრადი გამოყენების შესახებ.

- საინფორმაციო კამპანია სკოლებში, უნივერსიტეტებსა და სოციალურ მედიაში ხანძრის რისკებისა და ხანძრის მართვაში ახალგაზრდების აქტიური როლის შესახებ;
- რეკრუტირების ხელშეწყობა ისეთი საინტერესო აქტივობების შეთავაზებით, როგორიცაა კონკურსები. სომხეთს ჰქონდა ახალგაზრდა მაშველებს, როგორც გოგონებს, ასევე ბიჭების შორის შეჯიბრებების ჩატარების დადებითი გამოცდილება, რაც ემსახურებოდა ისეთი უნარების გაუმჯობესებას, როგორიცაა პირველადი დახმარება, ფიზიკური მზადყოფნა და ხანძარსაწინააღმდეგო საქმიანობა;
- ეროვნულ მთავრობებთან მოლაპარაკებების წარმოება ახალგაზრდების ჩართულობის დამატებითი ბენეფიტების სქემების შეთავაზებისთვის, მაგ. სერტიფიკატები, სტიპენდიები ან კარიერული პერსპექტივა;

- ხანძრის მართვის საქმიანობაში ქალების ჩართულობის წახალისება და ხელშეწყობა, როგორიცაა პრევენციული და რეაგირების ღონისძიებები, ცნობიერების ამაღლების კამპანიები და საკოორდინაციო კომიტეტები. ამავდროულად მუნიციპალიტეტებში მცხოვრები ქალების განსხვავებული რეალობის გააზრება და გათვალისწინება:

განხორციელების გეგმაში იხ. შესაბამისი პროექტის კონცეფცია "ხანძრის რისკების შესახებ ცნობიერების ამაღლება და პრევენციისა და რეაგირების შესაძლებლობების განვითარება" (იხ. ქვეპუნქტი 4.3).

2.3 კოორდინაცია სამთავრობო დონეზე

სომხეთი და საქართველო ხანძრის მართვის სფეროში ეროვნულ დონეზე უკვე თანამშრომლობენ, რასაც ადასტურებს 2017 და 2022[16] წლებში ბორჯომის ხეობაში დიდი ხანძრების წინააღმდეგ ბრძოლის ერთობლივმა ძალისხმევამ. თუმცა, თანამშრომლობის ასეთი შემთხვევები ძირითადად არასისტემურია და უფრო არაფორმალურ სახეს ატარებს. პროტოკოლებისა და კომუნიკაციის მექანიზმების გაუმჯობესება, როგორც ხელისუფლების სხვადასხვა დონეზე ასევე ქვეყნებს შორის, ენობრივი ბარიერების დაძლევა ხელს შეუწყობს თანამშრომლობის უფრო სისტემურ მიდგომას. ამასთან, საზღვრის კვეთის გართულებული პროცედურები, რომლებიც საჭიროებს ეროვნული უსაფრთხოების სამსახურების ნებართვას, ამცირებს რეაგირების მნიშვნელოვან დროს საგანგებო სიტუაციის შემთხვევაში.

ამ გამოწვევების ერთობლივი გადაწყვეტის თანამშრომლობის შესაძლებლობები მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- მუნიციპალურ დონეზე ხანძრის ერთობლივი მართვის კომუნიკაციისა და კოორდინაციის მექანიზმების გაძლიერება ან ჩამოყალიბება, სომხეთისა და საქართველოს საზღვრისპირა რეგიონების ადგილობრივ ხელისუფლების ორგანოებს შორის არსებული ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის ღონისძიებებზე დაყრდნობით;[17]
- ქვეყნებს შორის, და ასევე თემებს შორის ენობრივი ბარიერების დაძლევა, მაგალითად, გუნდებში ენის მცოდნეთა გამოვლენით და თანამედროვე მთარგმნელობითი პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით;

[16] იხ. https://georgianjournal.ge/society/33727-day-four-fire-stops-spreading-in-borjomi-gorge.html და https://www.1lurer.am/en/2022/08/25/The-Georgian-Interior-Minister-thanks-Armenia-for-offering-help-in-the-fight-against-forest-fires/782980.

[17] ევროპის საბჭო ისწრაფის ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის გაძლიერებისაკენ საერთო პრინციპებსა და მემკვიდრეობაზე დაფუძნებული ურთიერთობების დამყარებით. ამ მიზნით, კარგი მმართველობის საბჭოს ექსპერტიზის ცენტრის ხელშეწყობით ხორციელდება ერთობლივი ინტერაქტიული სასწავლო კურსები და თანამშრომლობის ურთიერთგაგების მემორანდუმების შემუშავება პროექტის „დემოკრატიული განვითარება, დეცენტრალიზაცია და კარგი მმართველობა სომხეთში" ფარგლებში. დამატებითი ინფორმაციისთვის იხ.:https://www.coe.int/en/web/centre-of-expertise-for-multilevel-governance/-/armenia-georgia-cross-border-cooperation-a-promising-start.

- ხანძრის მართვის ერთობლივი თანამშრომლობის სტრატეგიის შემუშავება, რომელიც ურთიერთნდობას და შეთანხმებებს ეფუძნება და სადაც მკაფიოდაა გაწერილი ქვეყნების ფუნქცია-მოვალეობები და ერთობლივი სწავლებისა და სიმულაციების მეშვეობით მისი აპრობირება (იხ. აგრეთვე ქვეპუნქტი 2.1), ასევე პრევენციაზე ფოკუსირებული ინფორმაციის გაზიარების ჩარჩოები.[18] ;
- ხანძრის რისკებისა და სხვა შესაბამის ინფორმაციის შემცველი ცენტრალიზებული საზიარო მონაცემთა ბაზის შექმნა, როგორიცაა აღჭურვილობის ტიპები და ხელმისაწვდომობა ქვეყნებში; დეტალური ლანდშაფტის რუკების შექმნა გზებისა და წყლის რესურსების ჩათვლით; და დაინტერესებულ მხარეთა სიის შედგენა მათი როლებითა და პასუხისმგებლობით;
- ადგილობრივი საგანგებო სიტუაციების და სასაზღვრო უსაფრთხოების სამსახურების ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის პროცესებში ჩართვა, მაგალითად, ორმხრივი სასწავლო ვიზიტების მეშვეობით მესაზღვრეების საგანგებო გეგმების შესახებ ინფორმირების მიზნით, რაც მოიცავს საზღვრის კვეთას და ლოგისტიკურ ასპექტებს, კრიტიკული რეაგირების ფაქტორებს და ა.შ. ეს ემსახურება ხანძრის მართვისა და რეაგირების პერსონალის მიერ საზღვრის შეუფერხებელ კვეთას, რათა ეს არ მიიჩნეოდეს საზღვრის უკანონო კვეთად, რამაც შეიძლება შეაფერხოს რეაგირება და გააძლიეროს ხანძრით მიყენებული ზიანი;

იხ. შესაბამისი პროექტის კონცეფცია „ხანძრის მართვის სამთავრობოთაშორისო კოორდინაციის საგზაო რუკების შემუშავება“ განხორციელების გეგმაში. (იხ. ქვეპუნქტი 4.4).

[18] გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 2021-2025 წლების მდგრადი განვითარების თანამშრომლობის ჩარჩო სომხეთისთვის წარმოდგენას იძლევა იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება შეიქმნას ერთობლივი სტრატეგია სომხეთსა და საქართველოს შორის, ასახავს საკვანძო საკითხებს, როგორიცაა პრიორიტეტების განსაზღვრა, ცვლილებების თეორიის შემუშავება და რისკის ქვეშ მყოფ ჯგუფებზე ყურადღების გამახვილება. მეტი ინფორმაციისთვის იხ.: https://unsdg.un.org/sites/default/files/2021-10/UN-Armenia-Cooperation-Framework-2021-2025.pdf

3 დაინტერესებულ მხარეთა შორის თანამშრომლობის ფორმატების გაუმჯობესება

მე-2 ნაწილში წარმოდგენილი თანამშრომლობის სფეროების გარდა, კონსულტაციების პროცესში მონაწილე დაინტერესებულმა მხარეებმა გამოავლინეს რამდენიმე გზა ხანძრის მართვის სფეროში თანამშრომლობის გასაძლიერებლად ორივე ქვეყნისა და მუნიციპალიტეტის დონეზე. ქვემოთ მოყვანილი წინადადებები გამიზნულია და გამოყენებულ უნდა იქნას, როგორც გზამკვლევი შესაბამის დაინტერესებულ მხარეებს შორის უფრო კონკრეტული თანამშრომლობითი ქმედებების შემუშავებისთვის.

პირდაპირი კომუნიკაციის გაუმჯობესება და მეზობლური ურთიერთობების შენარჩუნება

- რეგულარული კომუნიკაციის მექანიზმების ჩამოყალიბება ორივე ქვეყნის შესაბამის დაინტერესებულ მხარეებს შორის, მაგ. WhatsApp ჯგუფი. ზოგიერთი გასათვალისწინებელი ასპექტი:
  - სომხეთსა და საქართველოში ხანძრის მართვაზე პასუხისმგებელმა სამინისტროებმა უნდა გადაწყვიტონ, თუ რომელი დაინტერესებულ მხარეები ჩაერთვებიან საკომუნიკაციო პლატფორმაზე და რა მიზნით (მაგ. მხოლოდ საგანგებო სიტუაციებში თუ ასევე ინფორმაციის გაცვლისთვის);
  - საუკეთესო შემთხვევაში, საკომუნიკაციო პლატფორმაზე უნდა ჩაერთონ ისეთი დაინტერესებული მხარეები, როგორიცაა კატასტროფების რისკებზე რეაგირების, საგანგებო სიტუაციების, საზღვრის დაცვისა და სატყეო სამსახურები და ასევე მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელები;
  - ორივე მხარე უნდა შეთანხმდეს საერთო ენაზე (თუ ეს შესაძლებელია), ან გამოიყენოს თარგმანის უფასო პროგრამა ენობრივი ბარიერების დასაძლევად;
  - საკომუნიკაციო არხ(ებ)ის მართვასა და მონიტორინგზე პასუხისმგებელი ერთი ან მეტი პირის დანიშვნა მომხმარებელთა სიის განახლებისა და არხის სათანადოდ გამოყენების უზრუნველყოფისთვის;
  - განსაკუთრებული სიტუაციების პროტოკოლის შემუშავება, როგორიცაა კრიტიკული პერსონალის ან მთავრობის ცვლილებები, მაგ. არჩევნების შემდეგ;
  - საქართველო წარმატებით იყენებს WhatsApp-ს გარკვეული შიდა კომუნიკაციისთვის და მას შეუძლია საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება და პოტენციურად არსებული სისტემების გაფართოება სომხეთის დაინტერესებულ მხარეებზე.
- ინსტიტუციურ დონეზე პირდაპირი კომუნიკაციის დამყარება შესაბამის სამთავრობო უწყებებს შორის რეგულარული შეხვედრებით რისკების შეფასების, ინფორმაციის გაცვლის, პოლიტიკის შემუშავებისა და განახლების აუცილებლობის შესწავლის, ერთობლივი სტრატეგიების შემუშავების მიზნით და ა.შ. ასეთი გაცვლა შეიძლება ეროვნულ მთავრობებს შორის ურთიერთგაგების მემორანდუმის საფუძველზე მოხდეს, რომლითაც დადგინდება თანამშრომლობის ჩარჩოები. მსგავსი რეგულარული გაცვლა, მათ შორის ლოგისტიკური საკითხებისა და დოკუმენტირების შესახებ მოითხოვს ორგანიზაციულ მხარდაჭერას, რისთვისაც მთავრობებმა უნდა განიხილონ ახალი მიზნობრივი პერსონალის დაქირავება ან რამდენად შესაძლებელია ორგანიზაციული ამოცანების განაწილება დაინტერესებულ მხარეებს შორის შესაბამისი სამთავრობო უწყებებიდან;
- არსებული ეროვნული რეაგირების გეგმების შეფასება, მათ შორის კომუნიკაციის პროტოკოლები უწყებებისა და ქვეეროვნულ დონეზე სხვადასხვა საგანგებო სცენარების შემთხვევაში, ასევე შესწავლა, თუ რამდენად შესაძლებელია ამ გეგმების გამოყენება ტრანსსასაზღვრო დონეზე ხანძრის მართვისა და რეაგირებისთვის.

სწავლებასა და ნდობის ჩამოყალიბებაში ინვესტირება

- ერთობლივი ტრენინგების, სამუშაო შეხვედრებისა და სასწავლო ვიზიტების ჩატარება ორივე ქვეყნის დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით და ორივე ქვეყანაში. ასეთ ერთობლივ ღონისძიებებს შეიძლება სხვადასხვა ფორმატი ჰქონდეს და სხვადასხვა მიზანს ემსახურებოდეს:

- *სამუშაო შეხვედრები* ქმნის ეროვნული და ადგილობრივი წარმომადგენლებისთვის საფუძველს ჩამოაყალიბონ საერთო მიზნები და გეგმები, შეთანხმდნენ სწავლების მეთოდოლოგიებზე, ხანძრის მართვის მეთოდებზე და დაადგინონ შესაძლებლობების გაძლიერებისა და ცნობიერების ამაღლების სამიზნე დაინტერესებული მხარეები.
- *სასწავლო აქტივობები* ემსახურება მზადყოფნის გაუმჯობესებას აღჭურვილობისა და პრაქტიკის ურთიერთგაცნობის ხელშეწყობით, სამოქმედო გეგმების შემუშავებით და სხვა აქტივობებთან ერთად სავარჯიშოებისა და სიმულაციების ჩატარებით.
- *სასწავლო ვიზიტები* საშუალებას აძლევს დაინტერესებულ მხარეებს გაეცნონ ტრანსსასაზღვრო ლანდშაფტებს, მცენარეულ საფარს, წყლის ობიექტებს, ხანძრის რისკის ზონებს, ასევე შეხვდნენ თემის წევრებს და ჩამოაყალიბონ ნდობა ყველა მხარეს შორის;

- *სამუშაო ჯგუფის* შექმნა ემსახურება შესაძლებლობების გაძლიერების ღონისძიებების ორგანიზებას, მათ შორის მოხალისეების და თითოეული ღონისძიებისთვის საჭირო ცოდნისა და გამოცდილების მქონე სპიკერების/ტრენერების დაქირავება. სამუშაო ჯგუფი შეიძლება შედგებოდეს ეროვნული მთავრობების წევრებისგან, რომლებიც მოიწვევენ აკადემიური სფეროს ექსპერტებს სასწავლო პროგრამების შესამუშავებლად და კონსულტაციებს გამართავენ შესაბამის სამინისტროებთან. ეს მოითხოვს წინასწარ დაგეგმვას და შესაბამის სამინისტროებთან რეგულარულ კომუნიკაციას. სამუშაო ჯგუფი ასევე პასუხისმგებელი უნდა იყოს სასწავლო მასალების შემუშავებაზე, როგორც ქართულ, ასევე სომხურ ენებზე, საუკეთესო შემთხვევაში არსებულზე დაყრდნობით. მაგალითად, GFMC მასალების ფართო სპექტრს გვთავაზობს, მათ შორის სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისთვის რეგიონულ ენებზე. მასალები ასევე მოიცავს ისეთ თემებს, როგორიცაა ქალებისა და ახალგაზრდების ჩართულობა.[19].

[19] ამის რამდენიმე კონკრეტული მაგალითია: საქართველოში შირაქის ველის ხანძრის მართვის კონცეფციის დასაბუთება და წინადადება, და სასოფლო-სამეურნეო მანქანების ხანძარსაწინააღმდეგო მიზნებისთვის გამოყენების სახელმძღვანელო. GFMC-ის საიტზე ერთ-ერთი გვერდი ეთმობა ხანძრის სათემო დონეზე მართვას და წარმოადგენს ინფორმაციას გენდერის, ახალგაზრდების, მკვიდრი და რელიგიური თემების, ტურიზმის, მიგრანტების/ლტოლვილების და სხვა საკითხების შესახებ. EuroFire-ის საერთაშორისო ხანძრის მართვის კომპეტენციის სტანდარტები და სასწავლო მასალები ასევე წარმოადგენს მრავალენოვან დისტანციურ სასწავლო რესურსებს.

4 განხორციელების გეგმა

სტრატეგიის მთავარი მიზანია თანამშრომლობის გაძლიერება ბოლნისის (საქართველო) და სარჩაპეტის (სომხეთი) მუნიციპალიტეტებს შორის კლიმატთან დაკავშირებული უსაფრთხოების რისკების გადასაწყვეტად. ამ მიზნის მიღწევას ემსახურება სტრატეგიის განხორციელების გეგმა, რომელიც მოიცავს **ოთხი წინასწარი ერთობლივი პროექტის კონცეფციას ორივე მუნიციპალიტეტის დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობით.** პროექტის კოცეფციები გახლავთ ეუთო-adelphi-ის მიერ 2023 წლის ოქტომბერში თბილისში ორგანიზებული სამუშაო შეხვედრის და შემდგომში 2024 წლის აპრილში ბოლნისსა და სარჩაპეტში გამართული კონსულტაციების შედეგები, რომლის ფარგლებშიც მონაწილეებმა თანამშრომლობის გამოვლენილი პრიორიტეტების (იხ. ნაწილი 3) საფუძველზე შეიმუშავეს ერთობლივი პროექტების მონახაზები რისკის შემცირების ღონისძიებების სახით.

დოკუმენტის ამ ნაწილში თითოეული პროექტის იდეა სტრუქტურირებულია შემდეგნაირად: (ა) სამუშაო სახელწოდება, (ბ) მოსალოდნელი შედეგები, (გ) ძირითადი აქტივობები, (დ) სამიზნე ჯგუფები, (ე) დასახული თანამშრომლობის სარგებელი, მათ შორის, როგორ შეიძლება ასეთი თანამშრომლობა დაეხმაროს კლიმატთან დაკავშირებული უსაფრთხოების რისკების გადაწყვეტას და (ვ) ქალებისა და ახალგაზრდების მონაწილეობასთან დაკავშირებული მოსაზრებები. აღწერილობები ზოგადი ხასიათისაა, რადგან წარმოადგენს **უფრო დეტალური პროექტის კონცეფციის შემუშავების საწყის წერტილს** ორმხრივი, რეგიონული და საერთაშორისო დონორებისა და ორგანიზაციებისთვის, რომლებიც განსაზღვრავენ, თუ როგორ უნდა დაფინანსდეს და განხორციელდეს პროექტები. გარდა ამისა, თითოეული პროექტის კონცეფცია მოიცავს შესაბამისი ვადების, ხარჯების და ძირითადი სექტორების უხეშ შეფასებას, რომელთა დეტალები შეიძლება შემდგომში დაიხვეწოს და მოერგოს დონორთა ინტერესებს და რესურსების ხელმისაწვდომობას.

პროექტების კონცეფციების მიმოხილვა:

1. „ხანძრის სათემო მართვა უსაფრთხო გარემოსთვის“
   (ხანძრის სათემო მართვა და ერთობლივი სწავლება)
2. „საზღვრისპირა რაიონებში ხანძრის პრევენციისა და რეაგირების ინფრასტრუქტურის განვითარება“
   (ხანძრის სათემო მართვა და ერთობლივი სწავლება)
3. „ხანძრის რისკების შესახებ ცნობიერების ამაღლება და პრევენციისა და რეაგირების შესაძლებლობების განვითარება“
   (ხანძრის პრევენციის, მზადყოფნისა და რეაგირების მხარდასაჭერად ცნობიერების ამაღლება)
4. „საგზაო რუკების შემუშავება ხანძრის მართვის საკითხებში მთავრობათაშორისი კოორდინაციისთვის“
   (კოორდინაცია სამთავრობო დონეზე)

4.1 პროექტის კონცეფცია: „ხანძრის სათემო მართვა უსაფრთხო არემოსთვის“

ხანძრის მართვა | კომუნიკაცია | ლანდშაფტის დარუკება | სათემო გადაწყვეტები | შესაძლებლობების გაძლიერება

მოსალოდნელი შედეგები:

1. გაუმჯობესებული ტრანსსასაზღვრო პირდაპირი კომუნიკაცია ადგილობრივი სახანძრო კომიტეტების მეშვეობით;
2. მეხანძრეები იცნობენ ადგილობრივ ლანდშაფტებს და ხელმისაწვდომ რესურსებს ტრანსსასაზღვრო ხანძრის რისკის ზონებში;
3. მეხანძრე-მაშველები ორივე ქვეყანაში და ადგილობრივად უკეთ არიან მომზადებულები საგანგებო სიტუაციებში თანამშრომლობისთვის;
4. კარგად მომზადებული და აღჭურვილი მოხალისე მეხანძრე-მაშველების რაოდენობა გაზრდილია.

ძირითადი აქტივობები:

- ორივე მუნიციპალიტეტიდან ხანძრის მართვის დაინტერესებული მხარეებისა და სხვა კომპეტენტური და მოტივირებული უწყებების/პირებისგან შემდგარი კომიტეტის შექმნა ამავდროულად გენდერული ბალანსის უზრუნველყოფით. კომიტეტის უფლებამოსილებათა სფერო, ფუნქციები და ბიუჯეტი განისაზღვრება მისი შექმნისას. მისი ძირითადი ამოცანებია ერთობლივი მზადყოფნის გეგმების შემუშავება და ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეებს შორის პირდაპირი საკომუნიკაციო არხის შექმნა და შენარჩუნება. კომიტეტი რეგულარულად შეიკრიბება და მის გადაწყვეტილებებს/შედეგებს გააცნობს ფართო საზოგადოებასა და იმ ერთეულებს, რომელთაც ის წარმოადგენს მხარდაჭერისა და მიმღებლობის უზრუნველსაყოფად;
    - კომიტეტმა უნდა განსაზღვროს ხანძრის პრევენციისა და რეაგირების სფეროში თითოეული დაინტერესებული მხარის როლი, შესაძლებლობები და რესურსები მზადყოფნის ერთობლივ გეგმაში. მათ უნდა შეიმუშაონ საგანგებო სიტუაციების მკაფიო საგზაო რუკა, მათ შორის შორეული სოფლების, მოხუცებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ევაკუაციის გეგმები არსებულ ეროვნულ სტრუქტურებსა და ძალისხმევაზე დაყრდნობით *(დაბალი ღირებულება);*
    - რაც შეეხება საკომუნიკაციო არხს, კომიტეტი უნდა შეთანხმდეს მის ტიპზე (მაგ. WhatsApp ჯგუფები), ჩართულ დაინტერესებულ მხარეებზე, გამოყენების შემთხვევებზე (მაგ. მხოლოდ საგანგებო სიტუაციებში და/ან ინფორმაციის გაცვლისთვის) და მომხმარებლის პროტოკოლებზე (მაგ. სურათების, კოორდინატების და ა.შ. გაზიარება). საჭიროა ენობრივი ბარიერების გადალახვის სისტემა, როგორიცაა ავტომატური თარგმანის პროგრამა. შესაძლოა საჭირო გახდეს დამატებითი საკომუნიკაციო მოწყობილობა, როგორიცაა ქალაქის და სატელიტური ტელეფონები ან რაციები, განსაკუთრებით არასაიმედო მობილური სიგნალის შემთხვევაში *(დაბალი-საშუალო ღირებულება);*
- მუნიციპალიტეტებისა და საზღვრისპირა რეგიონების ხანძრის რისკის ზონებში ლანდშაფტის, წყლის წყაროებისა და მცენარეული საფარის დარუკება მეხანძრე-მაშველების მიერ რელიეფის ცოდნის გასაუმჯობესებლად, რასაც თან უნდა ახლდეს სასწავლო ვიზიტები რეაგირების დროის შესამცირებლად (საშუალო ღირებულება);
- ხანძრის მართვისა და კატასტროფების რისკებზე რეაგირების სფეროში არსებული ტრენინგებისა და წვრთნების შეფასება ადგილობრივ, ეროვნულ და რეგიონულ დონეზე ხანძრის მართვაში საზღვრისპირა თანამშრომლობის გაუმჯობესების შესაძლებლობების გამოსავლენად *(დაბალი ღირებულება);*
- რეგულარული ერთობლივი წვრთნებისა და სწავლების ჩატარება ხანძრის პრევენციასა და რეაგირებაში ჩართულ დაინტერესებულ მხარეთა ფართო სპექტრისთვის, მათ შორის პარკისა და ტყის მართვის ორგანოები, სამაშველო

პერსონალი და მოხალისე სახანძრო ბრიგადები. თემები შეიძლება მოიცავდეს რეაგირების პროტოკოლებს, აღჭურვილობის მართვას და რეგიონის ლანდშაფტს ორივე მხარის პერსონალის მიერ ერთმანეთის მუშაობის გაცნობისა და ერთობლივი კოორდინაციის პროცესების შემუშავების მიზნით *(საშუალო ღირებულება).*

- მოხალისე მეხანძრეების რეკრუტირება და სწავლება, რასაც ხელს უნდა უწყობდეს ხელშესახები წამახალისებელი საშუალებები, როგორიცაა სერთიფიკატები, სტიპენდიები და პროფესიული რეკომენდაციები, ხელშემწყობი გარემო, როგორიცაა კონკურსები და დაჯილდოების ცერემონიები. უსაფრთხოების მიზნით, მნიშვნელოვანია, რომ მოხალისეებმა იმავე სტანდარტების სწავლება გაიარონ, როგორც ჩვეულებრივმა მეხანძრეებმა, მათ შორის, იცოდნენ პრევენციისა და რეაგირების პროტოკოლები, ისევე როგორც ლანდშაფტი, რომელშიც მათ მოუწევთ მოქმედება. სასწავლო მასალა ხელმისაწვდომი უნდა იყოს ორივე ენაზე *(საშუალო-მაღალი ღირებულება).*

სამიზნე ჯგუფი:

სამიზნე ჯგუფები მოიცავს მეხანძრეებს, პარკებისა და ტყის მართვის ორგანოებს, მესაზღვრეებს, მუნიციპალურ მოხელეებს, სამართალდამცავ ორგანოებს, როგორიცაა ადგილობრივი ინსპექტორატები და პოლიცია, თემის წევრებსა და მოხალისეებს.

თანამშრომლობა:

პროექტი გაუმჯობესებს თანამშრომლობას რეგულარული კონტაქტითა და ცოდნის გაზიარებით და ერთობლივი მოქმედებით ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეებს შორის საზღვრის ორივე მხარეს. საერთო პრობლემებზე ყურადღების გამახვილება თანამშრომლობის მნიშვნელოვანი ბერკეტია, რადგან ის ხაზს უსვამს საერთო გადაწყვეტების მნიშვნელობას და მათი წარმატებისთვის საჭირო მუდმივ თანამშრომლობას.

ქალები და ახალგაზრდები:

პროექტი ითვალისწინებს ქალთა საკვანძო როლს დაგეგმილ კომიტეტსა და ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებებში, განსაკუთრებით შორეულ რაიონებსა და სოფლებში. ეს მოიცავს პრევენციული ცნობიერების ამაღლების აქტივობებს სკოლებში და მოხალისეთა რეკრუტირების მხარდაჭერას, მათ შორის სკოლებში მომავალი მოხალისეობის წახალისებას და/ან მოხალისე მეხანძრეებად ჩართვას. ახალგაზრდების მოხალისეებად ჩართვა პროექტის არსებითი ელემენტია სათემო დონეზე რეაგირების შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით, და ამავდროულად თემის ახალგაზრდებს კარიერისა და განვითარების შესაძლებლობებს სთავაზობს.

პროექტის სინერგიები:

პროექტი ითვალისწინებს საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების არსებულ სტრუქტურებს და ეფუძნება ეროვნულ დონეზე ხანძრის მართვის სფეროში არსებულ დარუკებისა და დაგეგმვის აქტივობებს. მაგალითად, ხანძრის რისკების დარუკება და შეფასებები, რომელსაც სომხეთის საგანგებო სიტუაციების სამსახური და სატყეო დეპარტამენტი ახორციელებს მუნიციპალურ დონეზე ხანძრის კონტროლის წლიური გეგმების ნაწილის სახით ერთობლივი მზადყოფნის გეგმის შემუშავების კარგი საწყისი შეიძლება გახდეს.

რამდენიმე პროექტი მოიცავს მეხანძრე-მაშველებისა და საგანგებო და კატასტროფების რისკის შემცირების პერსონალის გადამზადებას. **ევროკავშირის მოდულის წვრთნების (MODEX)** კონსორციუმი აწყობს მზადყოფნის სამუშაო შეხვედრებს ევროპული კომისიის გენერალური დირექტორატის სახელით ევროპული სამოქალაქო დაცვისა და ჰუმანიტარული დახმარების ოპერაციებისთვის. MODEX-ის პროგრამის ფარგლებში ჩატარდა სამუშაო შეხვედრები ქვემო ქართლის საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის თანამშრომლებისთვის ტყის ხანძრის მართვასთან დაკავშირებით. ასევე, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროგრამის **„აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში ბუნებრივი და ტექნოგენური კატასტროფების პრევენცია, მზადყოფნა და რეაგირება - ფაზა 3“ (PPRD East 3)** ფარგლებში თბილისში, 2023 წელს ჩატარდა სრულმასშტაბიანი სახანძრო წვრთნა. PPRD East 3 პროგრამა ასევე მუშაობს

პარტნიორ ქვეყნებთან ხარვეზებისა და პრიორიტეტების გამოვლენის მიზნით ხანძრის მართვისა და რეაგირების სფეროში. **შეერთებული შტატების სატყეო სამსახურმა** ასევე ჩაატარა ტრენინგები სამთავრობო უწყებებისა და არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის, როგორც სომხეთში, ასევე საქართველოში ხანძრის მდგრადი მართვის შესახებ. ასეთი სწავლებიდან, სამუშაო შეხვედრებიდან და წვრთნებიდან მიღებული გამოცდილება ხელს შეუწყობს სომხეთსა და საქართველოში ხანძრის მართვის პერსონალისა და მოხალისეთა შემდგომ შესაძლებლობების გაძლიერებას უწყვეტი განათლების ხელშეწყობისა და ცოდნის დანაკლისის შევსების მიზნით.

მოხალისე მეხანძრე-მაშველების რეკრუტირებისა და მომზადების ძალისხმევით შესაძლოა შეივსოს **საგანგებო სიტუაციების მოხალისეთა რეზერვისტების ბრიგადა,** რომელიც ამჟამად საქართველოს შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროების მიერ არის შექმნილი. ამას გარდა, ქვემო ქართლის სატყეო სამსახურმა დაიქირავა **„მეხანძრე რეინჯერები“** ხანძრის სეზონზე ტყის ტერიტორიების პატრულირებისა და ხანძრის ნებისმიერი ნიშნის შესახებ საგანგებო სიტუაციების სამსახურის ინფორმირებისთვის. ეს გამოცდილება შეიძლება გამოყენებულ იქნას მოხალისე მეხანძრეების რეკრუტირების პროცესში და ამავდროულად გაიზარდოს სატყეო სამსახურში ხანძრის მართვაში გამოცდილი რეინჯერების რაოდენობა. ანალოგიურად, სომხეთის კატასტროფების რისკის მართვის 2023-2030 წლების სტრატეგიის და 2023-2026 წლების სამოქმედო გეგმის განხორციელებამ შეიძლება შექმნას სინერგიები, რადგან ორივე პოლიტიკის დოკუმენტი ითვალისწინებს **სამაშველო მოხალისეთა სათემო რაზმების** ფორმირებას ერევანში და სომხეთის რეგიონებში.

4.2 პროექტის კონცეფცია: „საზღვრისპირა რაიონებში ხანძრის პრევენციისა და რეაგირების ინფრასტრუქტურის განვითარება“

ხანძარზე რეაგირება | კატასტროფის რისკის მართვა | ხანძრის მონიტორინგი | წყლის რესურსების მართვა

მოსალოდნელი შედეგები:

1. საზღვრისპირა ტერიტორიებზე წყლის რესურსების ხელმისაწვდომობის გაზრდა ორმხრივი შეთანხმებებისა და მართვის მექანიზმების ხელშეწყობით;
2. ხანძარსაწინააღმდეგო და დამცავი დერეფნების მოწყობა ხანძრის სწრაფი გავრცელების თავიდან ასაცილებლად;
3. ხანძრის სწრაფი გამოვლენა და გაფრთხილება, ისევე როგორც უფრო ეფექტური რეაგირება რეალურ დროში მიღებული ინფორმაციისა და ხანძრის ყოვლისმომცველი მონაცემების გამოყენებით, რაც კვლევისა და ხანძრის მართვის სტრატეგიების საფუძველი შეიძლება გახდეს;
4. ზოგადად, ადამიანების, გარემოს და საარსებო წყაროების უსაფრთხოების რისკის შემცირება დროული გაფრთხილების, რეაგირების დროის შემცირებისა და ხანძრის გავრცელების პრევენციისა თუ შეზღუდვით.

ძირითადი აქტივობები:

- ხანძრის რისკის ზონების შეფასება განსახორციელებელი საკითხების გამოვლენისა და პრიორიტეტულობის დადგენისათვის, მათ შორის, ბუნებრივი წყლის ხელმისაწვდომობა, წყლის რესურსის შესაძლო ტიპი და ზომა (ტბორები, წყალსაცავი და ა.შ.), მშენებლობის ჰიდროლოგიური ასპექტები, გავლენა ადგილობრივ თემებზე, ფეხით, ტრანსპორტით ან ვერტმფრენით მისადგომობა, საზღვართან სიახლოვე, წყლის სხვა რესურსთან სიახლოვე ტერიტორიის დაფარვის უზრუნველსაყოფად *(დაბალი ღირებულება);*
- რეგულარული საკოორდინაციო და გადაწყვეტილების მიმღები კომიტეტის შექმნა ორივე ქვეყნის შესაბამისი ადგილობრივი და ეროვნული ხელისუფლების წარმომადგენლების შემადგენლობით*(დაბალი-საშუალო ღირებულება)*
  - პრიორიტეტული რისკის ზონების მიხედვით წყლის რესურსების ადგილმდებარეობის შერჩევის შესახებ გადაწყვეტილების მიღება;
  - დაინტერესებულ მხარეთა გამოვლენა განხორციელებისა და ტექნიკური მომსახურებისთვის სამშენებლო და გარემოსდაცვითი ოფიციალური მოთხოვნების შესაბამისად;
  - ოფიციალური შეთანხმება ან მემორანდუმი მუნიციპალიტეტებსა და ქვეყნებს შორის, რომელიც განსაზღვრავს საზღვრისპირა ტერიტორიებზე ძველი და ახალი წყლის რესურსების მართვის პრინციპებს კლიმატის ცვლილებისა და კონფლიქტების გადაჭრის მექანიზმების გავლენის გათვალისწინებით;
  - მოსახლეობის, განსაკუთრებით ფერმერების ცნობიერების ამაღლება წყლის რესურსებით სარგებლობისა და ზოგადად ხანძრის პრევენციის შესახებ;
- საკოორდინაციო კომიტეტის გადაწყვეტილებების საფუძველზე წყლის რესურსების მშენებლობა და მომსახურება. ეს მოიცავს წყლით სარგებლობის რეგულაციების მონიტორინგს და მორგებას რეგიონში სეზონურ და გრძელვადიან კლიმატურ ცვლილებებზე *(მაღალი ღირებულება);*
- ხანძრის პრევენციის ბუნებრივი გადაწყვეტების გაფართოება, როგორიცაა ხანძრის ეკოლოგიურად სუფთა და უსაფრთხო გამოყენება, კონტროლირებადი ძოვება და მცენარეული საფარის მიზანმიმართული დამუშავება გადაწვის სანაცვლოდ (მაგ., ორგანული ნივთიერებების ან ნახშირის [ბიონახშირი] გამოყენება ნიადაგის გასაუმჯობესებლად ან განახლებადი ენერგიის წყაროდ), მუნიციპალურ, სასოფლო-სამეურნეო და სატყეო სექტორის დაინტერესებულ

მხარეებთან ერთად ხანძარსაწინააღმდეგო და დამცავი დერეფნების ერთობლივად შექმნა და ამავდროულად სხვადასხვა მხარეთა დაკავშირებული წუხილისა და პრობლემების გაგება და მათი გადაწყვეტის გზების შესწავლა; *(საშუალო-მაღალი ღირებულება);*

- არსებული ხანძრის გამოვლენის სისტემების და მათი გაფართოების შესაძლებლობის შეფასება საზღვრისპირა რაიონებში ადრეული გაფრთხილებისა და რეაგირების ღონისძიებების კოორდინაციის მხარდასაჭერად. ხანძრის გამოვლენის სისტემები, როგორიცაა კამერები და თერმული სენსორები, შეიძლება დამონტაჟდეს ადგილობრივად ხანძარსაშიშ ადგილებში. ასევე, სმარტფონის აპლიკაციების გამოყენება ადგილობრივ მოსახლეობას საშუალებას მისცემს აქტიურად ჩაერთონ ხანძრის მონიტორინგში და გაფრთხილებაში. სატელიტებითა და სხვა დისტანციური ზონდირების ტექნოლოგიებით შეიძლება ფართო სასაზღვრო რეგიონის მოცვა, რაც ქვეყნებს შორის ინფორმაციის უწყვეტ გაცვლას საჭიროებს. ამასთან, შეგროვებულ მონაცემები ხელს შეუწყობს ხანძრის ქცევის კვლევას და ხანძრის მართვის სტრატეგიების გაუმჯობესებას *(მაღალი ღირებულება).*

სამიზნე ჯგუფი:

სამიზნე ჯგუფები მოიცავს მეხანძრეებს, პარკისა და ტყის მართვის ორგანოებს, მესაზღვრეებს, მუნიციპალურ მოხელეებს, თემის წევრებს, მოხალისეებსა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს, რომლებიც ჩართულნი არიან გარემოსა და ბიომრავალფეროვნების დაცვაში.

თანამშრომლობა:

პროექტი გააძლიერებს თანამშრომლობას და ურთიერთობას ქვეყნებს შორის ხანძრის მონიტორინგისა და ადრეულ გაფრთხილების სფეროში, ისევე როგორც ერთობლივი კომიტეტებისა და ჩარჩო შეთანხმებების წყალობით საზღვრის გასწვრივ წყლის რესურსების მართვის სფეროში. რადგან მოსალოდნელია, რომ კლიმატის ცვლილება შექმნის ხანძრის გავრცელებისა და სიმძიმის ხელსაყრელ პირობებს, პროექტი ასევე ითვალისწინებს მზარდ და საერთო უსაფრთხოების რისკებს, რომელთაც ხანძრები წარმოშობს ადგილობრივი თემებისა და ეკოსისტემებისთვის საზღვრისპირა ტერიტორიებზე.

ქალები და ახალგაზრდები:

ქალები წახალისებულნი იქნებიან აქტიური მონაწილეობა მიიღონ პროექტის ყველა სფეროში. ქალებისა და ახალგაზრდების ჯგუფებს შეუძლიათ საზღვრისპირა თემებში ცნობიერების ამაღლება წყლის რესურსების დანიშნულებისა და ფუნქციის შესახებ, და ამით თემებში ერთიანობის განცდის მხარდაჭერა ხანძრის შედეგად გამოწვეული საერთო რისკის აღმოფხვრაში ცალკეული ადამიანების როლის ხაზგასმით.

პროექტის სინერგიები:

სომხეთში, ტაშირის სატყეო სამსახურმა ახლახან წამოიწყო საცდელი **პროექტი სენსორების გამოყენებით** ხე-ტყის უკანონო ჭრასთან დაკავშირებული ხმების გამოსავლენად. პირველი სენსორების გამოცდა ქალაქ ტაშირში იგეგმება. პროექტის წარმატების შემთხვევაში, შესაძლებელია მსგავსი სენსორების ხანძრის ადრეული გამოვლენისთვის გამოყენების შესაძლებლობა შესწავლა, როგორც ეფექტური და ეკონომიური გზა ხანძრის გაფრთხილების სისტემების გასაძლიერებლად.

PPRD East 3 პროგრამის საკვანძო მიზანია ადრეული გაფრთხილების ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობების გაძლიერება.

4.3 პროექტის კონცეფცია: „ხანძრის რისკების შესახებ ცნობიერების ამაღლება, პრევენციისა და რეაგირების შესაძლებლობების განვითარება“

ცნობიერების ამაღლება | შესაძლებლობების გაძლიერება | ახალგაზრდები და ქალები

მოსალოდნელი შედეგები:

1. ადგილობრივი თვითმმართველობები აცნობიერებენ საკუთარ როლსა და პასუხისმგებლობას და აქტიურად არიან ჩართული ხანძრის პრევენციაში, მზადყოფნასა და რეაგირებაში;
2. ადგილობრივი მოსახლეობა იცნობს ხანძრის პრევენციის გზებს, ხანძრის საფრთხეებს და მისი თავიდან არიდების ღონისძიებებს;
3. ფერმერები და ახალგაზრდები ინფორმირებულნი არიან ხანძრის მართვის შესახებ და გამოხატავენ ხანძრის პრევენციაში აქტიურად ჩართვის მზადყოფნას.

ძირითადი აქტივობები:

- ადგილობრივი თვითმმართველობის ცნობიერების ამაღლება ხანძრის მართვაში საკუთარი როლისა და პასუხისმგებლობების შესახებ, მაგალითად, სამუშაო შეხვედრების ან კონფერენციების ორგანიზებით. ფინანსური და საკადრო ხარჯების შესამცირებლად, თემის ჩართვა შესაძლებელია ინფორმაციის გაცვლის არსებულ შიდასახელმწიფოებრივი ფორუმებში *(დაბალი ღირებულება);*
- მრავალენოვანი საინფორმაციო კამპანიების ჩატარება ხანძრის პრევენციის, ხანძრის საფრთხისა და შეტყობინების გზების შესახებ საზღვრისპირა მუნიციპალიტეტების ადგილობრივ მოსახლეობას შორის, განსაკუთრებით ფერმერებისთვის და ტურისტებისთვის, ისეთი სხვადასხვა არხისა და ფორმატის გამოყენებით, როგორიცაა ბანერები, საინფორმაციო დაფები, გამაფრთხილებელი ნიშნები, ბუკლეტები, ვიდეო კლიპები და სემინარები *(დაბალი ღირებულება);*
- ახალგაზრდებზე ორიენტირებული საინტერესო საგანმანათლებლო და მონაწილეობითი აქტივობებისა და ღონისძიებების ჩატარება ხანძრის პრევენციის შესახებ ცოდნისა და ცნობიერების ამაღლების მიზნით თემებში, ბაგა-ბაღებსა და სკოლებში და მოხალისეების რეკრუტირების მიზნით. ქალებს წამყვანი როლის შესრულება შეუძლიათ ამ ტიპის აქტივობებში, რაც ხაზს უსვამს ქალთა ხანძრის მართვაში აქტიურად ჩართვის მრავალ გზას *(დაბალი-საშუალო ღირებულება);*
- „ტყის მცველების“ ახალგაზრდული თემის შექმნა ხანძრების მონიტორინგისა და შეტყობინებისთვის, მაგ. მობილური აპლიკაციის საშუალებით და საზოგადოებისა და ტურისტების განათლება ხანძრის რისკების შესახებ. სამოტივაციო კამპანიები და თანმდევი სარგებელი ახალგაზრდების ჩართულობას შეუწყობს ხელს *(საშუალო ღირებულება);*
- ფერმერთა ცნობიერების ამაღლება სასოფლო-სამეურნეო ნარჩენების გადაწვის პრაქტიკის ხანძრის რისკების შესახებ სპეციალიზებული მასალებით ადგილობრივ ენებზე და დიალოგის ფორმატებში, როგორიცაა სამუშაო და სათემო შეხვედრები. ეს ასევე უზრუნველყოფს ფერმერების საჭიროებებისა და წუხილის გაგების და სასოფლო-სამეურნეო ნარჩენების მართვის განხორციელებადი და აპრობირებული ალტერნატიული გადაწყვეტების გამოვლენას *(დაბალი-საშუალო ღირებულება);*
- მობილური სამუშაო ჯგუფის შექმნა მაღალმთიანი რეგიონების შორეულ სოფლებში ცნობიერების ასამაღლებლად, რომლებიც რთულად მისადგომია შეზღუდული სატელეფონო და ინტერნეტ კავშირის გამო *(დაბალი-საშუალო ღირებულება);*

სამიზნე ჯგუფი:

სამიზნე ჯგუფებია საზღვრისპირა თემები, ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოები, მათ შორის საგანგებო სიტუაციებზე პასუხისმგებელი უწყებები, პარკებისა და ტყის მართვის ორგანოების თანამშრომლები და ტურისტები. სასოფლო-სამეურნეო ნარჩენების გადაწვის ადგილობრივი ჩვეულებიდან და ასეთი საქმიანობის პოტენციური ხანძარსაშიშროებიდან გამომდინარე, ფერმერები ასევე წარმოადგენენ მთავარ სამიზნე ჯგუფს. ენერგეტიკის სექტორიდან დაინტერესებული მხარეების ჩართვამ შეიძლება ხელი შეუწყოს ამ პრაქტიკის განხორციელებადი ალტერნატივების მოძიებას.

თანამშრომლობა:

ერთობლივი მრავალენოვანი ცნობიერების ამაღლების კამპანიები ადგილობრივი და ეროვნული მთავრობებისგან მოითხოვს ცნობიერების ამაღლების აქტივობებისა და მათი შინაარსის კოორდინაციას. მსგავსი ურთიერთობა, განსაკუთრებით ერთობლივი ღონისძიებების მომზადება, სასარგებლო იქნება ყველა დონეზე ფართო სპექტრის თანამშრომლობის გასაუმჯობესებლად გადასაწყვეტი ხარვეზებისა და საკითხების გამოსავლენად. მსგავსი ღონისძიებები და აქტივობები დაეხმარება ადამიანებს გაიცნონ ერთმანეთი და დაამყარონ ურთიერთობები საზღვრებს შორის.

ქალები და ახალგაზრდები:

პროექტი ყურადღებას გაამახვილებს ქალების ხანძრის მართვის აქტივობებში ჩართვის ხელშეწყობასა და გაძლიერებაზე, იმ ტრადიციული შეხედულებების დასაძლევად, რომ ხანძრის მართვა მხოლოდ მამაკაცის საქმეა. ახალგაზრდების მოხალისეობრივი მონაწილეობა ასევე ხელს შეუწყობს მათ სამომავლო კარიერას ისეთი ხელშესახები უპირატესობების მინიჭებით, როგორიცაა სერთიფიკატები, სტიპენდიები და სოციალური და პროფესიული სტატუსი.

პროექტის სინერგიები:

მაგალითად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კამპანია „ემეგობრე პოლიციას“ იძლევა შესაძლებლობას ხანძრის მართვასთან დაკავშირებულ თემების ჩართვისა და ცოდნის გავრცელებისთვის.

საქართველოს ეროვნულმა სატყეო სააგენტომ შექმნა სწორი ქცევისა და ხანძრის პრევენციული ღონისძიებების გზამკვლევი (იგეგმება გამოქვეყნება), მათ შორის საზოგადოებრივი სამუშაოების შესახებ ინფორმაციის ჩათვლით. საინფორმაციო მასალა შეიძლება გამოყენებულ იქნას ცნობიერების ამაღლებისთვის და ასევე შეიძლება ითარგმნოს და მოერგოს სომხურ კონტექსტს.

4.4 პროექტის კონცეფცია: „საგზაო რუკების შემუშავება ხანძრის მართვის საკითხებში მთავრობათაშორისი კოორდინაციისთვის“

ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობა | მთავრობათაშორისი კომუნიკაცია | შიდასახელმწიფო კომუნიკაცია | თაობათაშორისი გაცვლა

მოსალოდნელი შედეგები:

1. ეროვნულ მთავრობებს შექმნილი აქვთ ხანძრის ერთობლივად ეფექტური მართვისა და სწრაფი რეაგირების ჩარჩო;
2. გაუმჯობესებულია კომუნიკაცია ქვეყნებში ეროვნულ და ადგილობრივ დონეებს შორის და ქვეყნებს შორის;
3. არსებული და ბიუჯეტური ხანძრის მონიტორინგისა და გამოვლენის ტექნოლოგიები გამოიყენება ტრანსსასაზღვრო ადრეული გაფრთხილების გასაძლიერებლად;
4. საზღვრისპირა ტერიტორიებზე გაუმჯობესებულია ხანძრის მართვის შესაბამისი საგზაო ინფრასტრუქტურა.

ძირითადი აქტივობები:

- ეროვნულ და ადგილობრივ დონეებს შორის კომუნიკაციის გაუმჯობესება თითოეულ ქვეყანაში, რითაც ცენტრალური მთავრობები მიიღებენ მუდმივად განახლებულ ინფორმაციას ეროვნულ დონეზე ხანძრების შესახებ *(დაბალი ღირებულება)*;
- სამუშაო ჯგუფებისა და ქვეჯგუფების ორგანიზება და მოწვევა ორივე ქვეყნის შესაბამისი, კომპეტენტური დაინტერესებული მხარეების შემადგენლობით ხანძრის ერთობლივი მართვის სტრატეგიებისა და საგზაო რუკების შემუშავების მიზნით, სომხეთსა და საქართველოს შორის მთავრობათაშორისი თანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე, რაც ემსახურება:
  - კომუნიკაციის გაუმჯობესებას ორ ქვეყანას შორის, მაგ. ხანძრის საგანგებო სიტუაციებზე სწრაფი რეაგირებისთვის ცხელი ხაზის ან ინფორმაციის გაცვლის სხვა პლატფორმების ან მექანიზმების შექმნით, როგორიცაა ხანძრის მონიტორინგისა და გამოვლენის მონაცემები;
  - ხანძრის ერთობლივი პრევენციისა და რეაგირების გაუმჯობესებას საგანგებო სიტუაციების არსებული ეროვნული რეაგირების სტრუქტურებისა და სამოქმედო გეგმების საფუძველზე; *(დაბალი-საშუალო ღირებულება)*;
- ხანძრის მონიტორინგისა და გამოვლენის არსებული და ბიუჯეტური ტექნოლოგიების შეფასება, რომლებიც შეიძლება სტრატეგიულად განლაგდეს საზღვრის გასწვრივ, მაგ. CCTV კამერები მაღალ სიმაღლეზე, რეგიონული სატელიტური მონაცემები ან მობილური აპლიკაციები ადრეული გაფრთხილებისთვის *(საშუალო ღირებულება)*;
- შორეულ და მთიან რეგიონებში ხანძარსაწინააღმდეგო რეაგირების გასაადვილებლად და სასაზღვრო რაიონებში წყალსაცავებთან გამარტივებული მისადგომობის ხელშესაწყობად საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და გაფართოება ადგილობრივ და ეროვნულ ხელისუფლებასთან კონსულტაციებით, მაგ. სასაზღვრო პოლიცია და ინფრასტრუქტურაზე პასუხისმგებელი სამთავრობო უწყებები *(მაღალი ღირებულება)*;

სამიზნე ჯგუფი:

სამიზნე ჯგუფები მოიცავს ხანძრის მართვაზე, კატასტროფებზე რეაგირებისა და ინფრასტრუქტურაზე პასუხისმგებელ სამინისტროებსა და სამთავრობო უწყებებს, ასევე სასაზღვრო პოლიციას.

თანამშრომლობა:

პროექტით ოფიციალურად გაფორმდება ხანძრის მართვისა და რეაგირების სფეროში სომხეთისა და საქართველოს მთავრობებს შორის თანამშრომლობა და ხელი შეწყობა ინდივიდუალური გამოწვევების ერთობლივ დაძლევას, რადგან ორივე ქვეყანა შეძლებს ერთმანეთის ძლიერი მხარეებით სარგებლობას: თუ სომხეთი ძლიერია ხანძარზე რეაგირების სფეროში, საქართველოს ძლიერი მხარეა ხანძრის ადრეულ გამოვლენა. შესაბამისად, თანამშრომლობის ჩარჩო შექმნის უფრო ძლიერ რეგიონულ ფრონტს ხანძრის საერთო საფრთხის წინააღმდეგ.

ქალები და ახალგაზრდები:

პროექტი მიზნად ისახავს დაბალანსებული გენდერული წარმომადგენლობის მიღწევას სამუშაო ჯგუფებში, რომლებიც პასუხისმგებელნი იქნებიან ხანძრის ერთობლივი მართვის სტრატეგიებისა და საგზაო რუკების შემუშავებაზე. შეძლებისდაგვარად, წახალისდება ახალგაზრდა კადრების ჩართულობა.

პროექტის სინერგიები:

სომხეთსა და საქართველოს შორის არ არსებობს ოფიციალური შეთანხმება ტყისა და ველის ხანძრების წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში თანამშრომლობის შესახებ, თუმცა 2000 წელს დადებული ორმხრივი შეთანხმება ბუნებრივი და ტექნოგენური საგანგებო სიტუაციების პრევენციისა და მათი შედეგების ლიკვიდაციის შესახებ იძლევა ხანძრის ერთობლივი მართვის საკითხის ჩართვის შესაძლებლობას. ამ შეთანხმების თანახმად, ქვეყნები ვალდებულნი არიან გაცვალონ ინფორმაცია მათ ტერიტორიაზე მომხდარი საგანგებო სიტუაციების შესახებ. ასევე შეთანხმების მოთხოვნაა, რომ სომხეთმა და საქართველომ წაახალისოს ეფექტური თანამშრომლობა ორივე ქვეყნის შესაბამის ორგანოებს შორის. გარდა ამისა, ბოლო წლებში შემუშავდა რამდენიმე პოლიტიკის დოკუმენტი, რაც შეიძლება საფუძველი გახდეს ხანძრის მართვისა და რეაგირების სფეროში თანამშრომლობის ჩარჩოსთვის:

- სომხეთის ეროვნული ხანძრის მართვის პოლიტიკის შექმნა მხარდაჭერილ იქნა 2013 წელს **„სამხრეთ კავკასიაში ხანძრის მართვისა და უკონტროლო ხანძრების კატასტროფების რისკის შემცირების ეროვნული შესაძლებლობების გაძლიერება“** ეუთო-GFMC პროექტის ფარგლებში ორგანიზებული მრგვალი მაგიდის შეხვედრებით. სომხეთმა ახლახან გადახედა და განაახლა მისი ხანძრის მართვის პოლიტიკა და საკანონმდებლო დოკუმენტები **რუსეთის ფედერაციისა-გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამის (UNDP) ერთობლივი პროექტის** ფარგლებში და დამატებით ჩართო ხანძრის მართვა, რისკების ანალიზი და მოდელირება მისი კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაციის ეროვნულ გეგმაში.
- საქართველოს სატყეო კოდექსი 2020 წელს გადაიხედა, სახანძრო უსაფრთხოების წესების დაცვისა და ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით. 2022 წელს, მთავრობამ დაამტკიცა **მეოთხე ეროვნული გარემოსდაცვითი სამოქმედო პროგრამა 2022-2026 წლებისთვის**, რომელიც ხანძრის მართვის ორგანოებს მოუწოდებს დანერგონ პრევენციის, მზადყოფნისა და რეაგირების ასპექტების მომცველი კომპლექსური მიდგომა. ის ასევე მოიცავს აქტივობებს, რომლებიც ემსახურება საგანგებო სიტუაციების სამსახურების ინფრასტრუქტურისა და ტექნიკური შესაძლებლობების გაძლიერებას და ადგენს 2026 წლის ბოლომდე 2000 მოხალისეს რეგისტრირების სამიზნეს.